


ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
Ilia State University  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies

საერთაშორისო კონფერენცია

ახლო აღმოსავლეთი და კავკასია:  
ისტორია, კულტურა, პოლიტიკა



International Conference

**THE MIDDLE EAST AND CAUCASUS:  
HISTORY, CULTURE, POLITICS**

თეზისები      Abstracts

თბილისი Tbilisi  
16-18/12/2021

## შინაარსი - Contents

მირანდა ბაშელეიშვილი Miranda Basheleishvili	ირანი და თალიბანი: მტრული ურთიერთობებიდან პრაგმატიზმამდე Iran and Taliban: From Enmity to Pragmatism	8
თამთა ბოკუჩავა Tamta Bokuchava	თურქეთის შეცვლილი პოზიციები: გავლენის სფეროს გაფართოება Shift in Turkey's Position: Expansion of Influence	10
Julien Columeau	The Punjabi Movement in Pakistan from 1947 to 1970: An Overview	12
მანანა გაბაშვილი	ევროპული „ოქროს საწმისის“ ორდენი და ანტიოსმალური კოალიციები	13
ელენე გიუნაშვილი Helen Giunashvili	პართული ონომასტიკის კვლევისათვის საქართველოს ეპიგრაფიკულ, ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში Studies on Parthian Names in Epigraphic, Literary and Historical Records of Georgia	14
რამაზ გორგაძე Ramaz Gorgadze	რამდენიმე სომხური ნასესხობის შესახებ ქართულში (ავანდაგირი, ბოვი, ბორვალი, ქარანძავი, შილიანი) On Borrowed Words from Armenian into Georgian (Avandagiri (ავანდაგირი), Bovi (ბოვი), Borvali (ბორვალი), Kandzavi (ქარანძავი), Shiliani (შილიანი))	16
სიმონ გურეშიძე Simon Gureshidze	არაბული ქვეყნები და ათეიზმი Arab Countries and Atheism	18
თამარ დემეტრაშვილი Tamar Demetrashvili	სამოსის აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ლექსიკა ქართულში XVI-XVII საუკუნეებში Persian-Arabic Clothing Vocabulary in the Georgian Language in XVI-XVII Centuries	20

Tatyana Denisova	Prophetic Dream in the Malay Muslim Historiography and Its Cultural and Historical Interpretation	22
ნათია დუნდუა	A-1448 (ხეც) ხელნაწერში დაცული ცნობები სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ	23
Natia Dundua	Notes on Literature Translated from Persian Attested in Manuscript A-1448 (NCM)	
ელისო ელიზბარაშვილი	წმინდა რელიკვიების <i>adventus</i> ცერემონია და დაცვითი ფუნქცია	24
Eliso Elizbarashvili	<i>Adventus</i> Ceremony and Defensive Function of the Sacred Relics	
ვახტანგ თევდორაძე	კასიდის როლი შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში	26
Vakhtang Tevdoradze	The Role of <i>Kasida</i> in the Medieval Arab Poetry	
დავით თინიკაშვილი	პეტრეს მემკვიდრის იდეა და მისი ბიბლიური საფუძველი	28
David Tinikashvili	The Idea of Peter's Successor and Its Biblical Basis	
ირაკლი თოფურაძე	მამლუქთა პერიოდის ბაღდადი უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებში	29
Irakli Topuridze	Mamluk's Baghdad in the Records of Foreign Travelers	
სოფიო იმედაძე	„კატაბანი“ და „ხარაზანი“ ლექსემები ს. ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით	30
Sopio Imedadze	For the Meaning of Two Lexemes “Katabani” and “Kharazani” in “The Georgian Dictionary” by Sulkhan-Saba Orbeliani	
ინგა ინასარიძე	ბაჰრეინი რეგიონალური დომინანტობისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირების კონტექსტში	33
Inga Inasaridze	Bahrain in the Context of the Saudi-Iranian Confrontation for the Regional Dominance	

Kevin Jernigan	Living with Birds in Kakheti	34
თინათინ კუპატაძე Tinatin Kupatadze	ბიბი ხანუმ ასთარაბადი და მისი როლი ქალთა მოძრაობის ისტორიაში Bibi Khanom Astarabadi and her Role in the History of Women's Movement of Iran	35
თამარ ლეკვეიშვილი Tamar Lekveishvili	საპატიო სამოსის ჩუქების ტრადიცია მე-17 ს-ის სპარსულ წყაროებში The Tradition of Gifting Honorary Clothes in Persian Primary Sources of the 17 <sup>th</sup> C.	37
ემზარ მაკარაძე Emzar Makaradze	ახალი იდენტობის საკითხები თანამედროვე თურქეთში Issues of New Identity in Modern Turkey	38
გიორგი მაჭარაშვილი Giorgi Macharashvili	კავკასიური ანბანების წარმოშობა ისტორიული ეთნოსიმბოლიზმის მიხედვით (წინასწარი კვლევის შედეგები) The Origins of Caucasian Alphabets from the Perspective of Historical Ethnosymbolism (Preliminary Overview)	40
ჯაბა მესხიშვილი Jaba Meskhishvili	1905 წელს იაპონური მხარდაჭერით შემძენილი იარაღის შემოტანა საქართველოში Import of Weapons Purchased with Japanese Support in Georgia in 1905	42
მარინა მეფარიშვილი Marina Meparishvili	მყარი და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში The Denotation of the Hard and FLEXible Connective Tissues in Semitic Languages	44
თამარ მოსიაშვილი Tamar Mosiashvili	რუზ ალ-იუსუფი - ეგვიპტის თეატრისა და პრესის ვარსკვლავი Ruz al-Yusuf -A Star of Egyptian theater and Press	46
ირინე ნაჭყებია, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი Irene Natchkebia, Nakhutsrishvili	ნაპოლეონისადმი მიძღვნილი სპარსული ყასიდის ავტორობის შესახებ On the Authorship of the Persian Nikoloz Qasid Dedicated to Napoleon	49

Aliaksandr Filipau	The Dynamics of the Amirs Corpus in Early Bahrite Egypt in 1252-1300 AD	51
Yaroslav V. Pylypchuk	Armenian Historiography of the Middle Ages	53
ნათელა ჟვანია Natela Zhvania	შეთანხმება ძველ ეთიოპურში Agreement in Old Ethiopic	55
გიორგი სანიკიძე George Sanikidze	ირანი და „შიიტური ნახევამთვარე“ – მითი თუ რეალობა? The ‘Shi’a Crescent’ – Myth or Reality?	56
მაია სახოკია Maia Sakhokia	სპარსული ენის ისტორიული ტექსტები (სეფიანთა ხანა) და სპარსული ენის გრამატიკული პერიოდიზაცია Persian Historical Monuments (Safavid Era) – Grammatical Periodization of Persian Language	59
თამთა ფარულავა Tamta Parulava	თავისუფალი ლექსის გაგებისათვის On Understanding of the Free Verse	61
ირაკლი ფაღავა Irakli Paghava	სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან A Hoard of Sirma Coins from the Vicinities of Bolnisi	62
თინათინ ქაროსანიძე Tinatin Karosanidze	„ისლამური სახელმწიფო“ ხორასანში - ახალი გამოწვევა ავღანეთისთვის “Islamic State” in Khorasan - the New Challenge for Afghanistan	65
ლეილა ქველიძე, ნათია სვინტრადე Leila Kvelidze, Natia Svintradze	მუსლიმური რეფორმაცია და გენდერული თანასწორობის საკითხი Muslim Reformation and Gender Equality Problems	67
ეთერ გვინიაშვილი Eter Gviniashvili	სოლოლაკის არაბულენოვანი წარწერები Arabic Inscriptions from Sololaki	68
გურამ ჩიქოვანი Guram Chikovani	ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები მილევად რეჟიმში Vanishing Central Asian Arabic Dialects	70

ზვიად ცხვედიანი

Zviad Tskhvediani

ელენე ჯაველიძე

Elene Javelidze

ძველი არაბული დიალექტები: გემინაცია 72  
აუსლაუტში

Old Arabic Dialects: Gemination in Auslaut

ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ აგებულების 74  
ზოგიერთი ნიშან-თვისება

Some Features of the Structure of  
Orhan Pamuk's The Black Book

# „დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (#FR 18-7653)

## შემაჯამებელი კონფერენცია



## “DOCUMENTS ABOUT GEORGIA IN THE ARCHIVES AND LIBRARIES OF IRAN”

### End of the Project Conference

The Project (#FR 18-7653) is supported by the Shota Rustaveli National Scientific Foundation

თეზისები Abstracts

19/12/2021

თამაზ აბაშიძე	დოკუმენტები საქართველოს შესახებ გოლესთანის სასახლის არქივიდან	78
Tamaz Abashidze	Documents about Georgia from the Archive of the Golestan Palace	80
გრიგოლ ბერაძე, მარინა ალექსიძე, თამარ მოსიაშვილი	ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ	80
Grigol Beradze, Marina Alexidze, Tamar Mosiashvili	Georgians in Safavid Iran: About Some Persian and Arabic Inscriptions of the Seventeenth Century Related to the Prerepresentatives of the Undiladze Family	
თამარ ლეკვეიშვილი	ორი ცნობა საქართველოს შესახებ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხზულებაში	82
Tamar Lekveishvili	Two References about Georgia in Fazli Beg Khuzani Isfahani's Work	
ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე	ქართული თემატიკა გოლესთანის სასახლის ფოტოარქივში	83
Nikoloz Nakhutsrishvili, George Sanikidze	The Georgian Theme in the Photographic Archive of the Golestan Palace	
Goodarz Rashtiani	Karim-Khan Zand and Erekle II: Study of an Unknown Historical Letter	85
გიორგი სანიკიძე	ერლ ჯორჯ კერზონის ორი წერილის შესახებ აკაკი ხოშტარის არქივიდან	86
George Sanikidze	About two letters of Earl George Kurzon from the Archive of Akaki Khoshtaria	
ამინ ყეზელბაშანი	მოჰამადალი-ხან გორჯი გადატრიალების გზაზე	88
Amin Ghezelbashan	Mohammadali-Khan Gorji on the Way to the Coup	



## მირანდა ბაშელიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ირანი და თალიბანი: მტრული ურთიერთობებიდან პრაგმატიზმამდე

ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის დაბრუნებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე. ირანის მთავრობა აქტიურადაა ჩართული მეზობელ ავღანეთში მიმდინარე მოვლენებში და ცდილობს სოციალ-პოლიტიკური ვითარების ნორმალიზებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

თალიბანის ავღანეთის ხელისუფლებაში პირველად მოსვლის პერიოდში, ირანი დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო. 1998 წელს მაზარ-ე შარიფში ირანელი დიპლომატებისა და ჟურნალისტის მკვლელობის შემდეგ, ირანსა და თალიბანს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. 2001 წელს ირანმა მხარი დაუჭირა აშშ-ის მეთაურობით საერთაშორისო კოალიციის მიერ თალიბანის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას.

თალიბანის ხელისუფლებაში დაბრუნების პირობებში ირანისთვის ისევ დღის წესრიგში დგას ისეთი პრობლემატური საკითხები, როგორცაა - ლტოლვილების ახალი ტალღა, ნარკოტიკების კონტრაბანდა და ასევე, თალიბანის დამოკიდებულება შიიტური უმცირესობის მიმართ. ირანის ხელისუფლება ცდილობს, ბოლო ათწლეულის განმავლობაში თალიბანთან ჩამოყალიბებული პრაგმატული ურთიერთობების ფონზე, შეინარჩუნოს ბალანსი ორმხრივ ურთიერთობებში. ოფიციალური თეირანი მხარს უჭერს ავღანეთში ინკლუზიური მთავრობის ჩამოყალიბებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ავღანეთის ყველა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის ინტერესები. ირანსა და თალიბანს შორის არსებული პრაგმატული ურთიერთობების გაგრძელება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გზას აირჩევს თალიბანი ქვეყნის სამმართველად. თალიბანის მმართველ რგოლში რადიკალური ელემენტების გაძლიერება ირანსა და ქაბულს შორის იდეოლოგიურ ნიადაგზე დაპირისპირების შესაძლებლობას გაზრდის.

**Miranda Basheleishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **IRAN AND TALIBAN: FROM ENMITY TO PRAGMATISM**

The Taliban's seizure of the reins of power in Afghanistan has a significant impact on regional and international political processes. The Iranian government is actively involved in the ongoing events in neighboring Afghanistan.

During the Taliban's first reign in power Iran was among the group's key adversaries. Iran and Taliban were almost led into war in 1998 following the killing Iranian diplomats and journalist by the group after the capture of Mazar-e-sharif. In 2001 Iran supported the overthrow of the Taliban by the US-led international coalition.

Since the Taliban takeover of Kabul Iran is concerned over the potential for more refugees, drug trafficking, as well as the Taliban's treatment of Afghanistan's Shia minority. Iran's relations with the Taliban became more conciliatory in past decades. Nowadays Tehran is trying to maintain balance in bilateral relations with the group. Iran supports the formation of an inclusive government in Afghanistan with the participation of all ethno-religious groups. The Continuation of the current pragmatic relations between Iran and the Taliban depends on the way the Taliban decides to rule. The strengthening of radical elements within the Taliban's ranks makes serious confrontation with Iran possible on ideological grounds.

## თამთა ბოკუჩავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თურქეთის შეცვლილი პოზიციები: გავლენის სფეროს გაფართოება

ბოლო პერიოდმა ნათლად აჩვენა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. პრეზიდენტი ერდოღანი მაქსიმალურად ცდილობს ჩამოსცილდეს აშშ-ს გავლენას როგორც სამხედრო ისე ეკონომიკურ სფეროში და გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსი. შესაბამისად, ვაშინგტონთან ან მოსკოვთან მჭიდრო თანამშრომლობა უახლოეს მომავალში ნაკლებად მოსალოდნელია. მეორეს მხრივ, მნიშვნელოვნად დააზიანა თურქეთის როგორც ნატოს წევრი და აშშ-სა და ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორის პოზიციები. თანამედროვე ანკარა უარყოფს სტატუს კვოს რეგიონში და ცდილობს გააფართოოს გავლენის სფეროები. ექსპანსიური ხასიათის საგარეო პოლიტიკური კურსით თურქეთის მთავრობას ყურადღება გადააქვს ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური კრიზისიდან. იმის მიუხედავად, რომ ანკარა ცდილობს წარმოაჩინოს თურქეთი, როგორც რეგიონის ძირითადი ძალა და გაატაროს ავტონომიური საგარეო პოლიტიკური კურსი, მიმდინარე პოლიტიკური გადაწყვეტილებები ქვეყნის მზარდ იზოლაციას უსვამს ხაზს.

ხმელთაშუა ზღვაში არსებული ბუნებრივი აირის საბადოებთან დაკავშირებული დავა, ლიბიის სამოქალაქო ომი და მთიანი ყარაბაღის განახლებული კონფლიქტი, ნათლად აჩვენებს თურქეთის ამბიციებს. მართალია ანკარა ცდილობს შედარებით შემრიგებლური ტონი გამოიყენოს ევროკავშირთან მიმართებაში, მაგრამ ანკარასა და ათენს შორის არსებული უთანხმოება თურქეთ-ევროკავშირის შორის არსებული დაძაბულობის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია და შესაბამისად ნაკლებად მოსალოდნელია მათ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2021 წლის 25 იანვარს განახლებული მოლაპარაკებები და თურქეთის ხისტი პოზიციები ამის ნათელი მაგალითია.

ბოლო პერიოდში თურქეთი აქტიურად არის ჩართული ე.წ. პროქსი ომებში. მისი აქტიური ჩართულობა 2020 წლის სექტემბერში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განახლებულ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში, აზერბაიჯანის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. ანკარამ აქტიური მონაწილეობა მიიღო როგორც აზერბაიჯანის შეიარაღებაში და წვრთნაში, ისე უშუალოდ ბრძოლებშიც თურქი სამხედრო პერსონალისა და სირიელი დაქირავებულების სახით. 2020 წლის საომარი მოქმედებები მთიან ყარაბაღში მნიშვნელოვანი იყო თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის, ანკარამ წარმოაჩინა საკუთარი იარაღისა და ბრძოლისუნარიანობის სახე, ხაზი გაუსვა თურქეთის არმიის შემქმნელ შესაძლებლობებს და ამბიციებს რეგიონში.

**Tamta Bokuchava**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **SHIFT IN TURKEY'S POSITION: EXPANSION OF INFLUENCE**

Turkey's foreign policy objectives appear to be shifting. President Erdogan has sought to distance military and economic decisions from the US's influence, favoring an independent strategy. With these intentions, a strong alignment with either the US or Russia is unlikely. However, Turkey's future as a NATO member and strategically to the US and the EU appears precarious. Nowadays, Ankara seems to reject the regional status quo ante and is pursuing an expansion of its sphere of influence. A more assertive foreign policy deflects domestic attention from the country's deteriorating economy. Although Ankara's actions can be interpreted as an attempt to establish Turkey as a major regional power with an autonomous foreign policy, at the same time they also expose the country's increasing international isolation.

Events like the gas dispute in the Mediterranean or the Nagorno-Karabakh conflict have clearly shown how vulnerable peace and stability really are. Although the relationship between Turkey and the EU has been strained during the past year due to several rifts, Ankara is currently trying to set a more conciliating tone. Despite the fact that talks, which are aimed to resolve the disagreement between Ankara and Athens, have restarted on January 25th this year, Turkey still shows latent hostility.

Turkey embraced an active role in the conflict between Armenia and Azerbaijan after the outbreak of violence in late September 2020. Despite Turkey's preference to engage in proxy warfare, their support for Azerbaijan included Turkish military personnel and Syrian mercenaries. The Azerbaijani forces' higher combat capabilities resulted from the intensification of training and technological and intelligence cooperation with Turkey. The role Turkey played in Azerbaijan demonstrates not only its army-building capacity, but also prestige and reputation of its weaponry, as well as Moscow's recognition of Turkey's ambitions in the region.

**Julien Columeau**

*G. Tsereteli Institute of Studies,  
Ili State University*

## **THE PUNJABI MOVEMENT IN PAKISTAN FROM 1947 TO 1970: AN OVERVIEW**

Punjabi is an Indo-Aryan language spoken today by more than 108 million speakers in Pakistan and more than 42 million in India. This distribution results from the partition of British India in 1947, which left the province of Punjab divided along a dividing line attributing to Pakistan the predominantly Muslim districts and to India the predominantly Hindu or Sikh districts. On the Pakistani side, Punjab became one of the new country's provinces, but successive governments have established Urdu as the official language of the province, without ever recognizing Punjabi any official status. Such a situation very quickly generated tensions, with Punjabi intellectuals claiming status for their language and identity. This is what researchers have called the Punjabi movement. My paper recounts the evolution of this movement, from its beginning until 1970. It will be divided into two main parts. The first one will be devoted to the context in which the Punjabi movement was born, i.e. the federal policy of implementing Urdu, and the linguistic movements born in reaction to it in provinces of Pakistan, like East Bengal and Sindh. The second part will begin by characterizing the intellectual field in Punjab. In this field, one can identify two groups acting for the promotion of Punjabi: Marxists and Conservatives. I will retrace the history of both groups, presenting their activities and literary production as well as their discourse, strategy and impact.

## მანანა გაბაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ევროპული „ოქროს საწმისის“ ორდენი და ანტიოსმალური კოალიციები

ანტიოსმალური კოალიციების ხანა, საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა, თუმცა ის რაც ხელოვნებას უკავშირდება ნაკლებად არის შესწავლილი და საგანგებო კვლევას ითხოვს. ანტიოსმალურ კოალიციებს საფუძველი ოსმალთა მიერ ბიზანტიის იმპერიის დამხობისთანავე (1453 წ.) ეყრება. საფრთხეებმა, რომელიც ამ კატასტროფას მოყვა, ბიძგი მისცა საქართველოს ევროპასთან კიდევ უფრო დაახლოებას, ევროპეიზაციის მზარდ ტენდენციებს. ამ ეპოქას უკავშირდება შუა საუკუნეებში გავრცელებული ევროპის ყველაზე პრესტიჟული ორდენი ცნობილი „ოქროს საწმისის“ სახელწოდებით. ორდენი ანტიოსმალური კოალიციების პერიოდში, ირიბად ევროპის საქართველოსა და შავი ზღვისადმი ინტერესის კიდევ ერთი სიმბოლური გამოხატულებაა, ქართული მეცნიერების ახალი ფურცელი, რაც პოპულარიზაციას საჭიროებს.

„ოქროს საწმისის“ ორდენის დაარსება (1430წ.10,I) ფილიპე III კეთილი ბურგუნდიელის სახელთან არის დაკავშირებული, რომლის სამთავროც ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი იყო. ამ ორდენის მფარველები ღვთისმშობელი და ანდრია პირველწოდებული არიან. ფილიპე კეთილს, განსაკუთრებით იზიდავდა ლეგენდა „ოქროს საწმისის“ შესახებ, რომელიც თავისი ოჯახის ისტორიას დაუკავშირა. კერძოდ, თუ როგორ გაიარა მისმა ერთ-ერთმა წინაპარმა არგონავტების გზა და კოლხეთში ჩავიდა, სადაც ტყვედ ჩავარდა. ფილიპე კეთილმა ეს ლეგენდა თავიდანვე ანტიოსმალურ პოლიტიკას, მათ წინააღმდეგ გალაშქრებას დაუკავშირა. ნიშანდობლივია, რომ ამ ბრძოლაში ქართველი მეფე გიორგი VIII და ყვარყვარე ათაბაგი უნდა ჩართულიყვნენ, თანაც ისინი პირველები დაუკავშირდნენ ფილიპე კეთილს, რაც ორმხრივ ინტერესებზე მეტყველებს. გიორგი VIII-მ ამ დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში შავი ზღვისა და უძველესი კოლხური სამყაროს, „მეგრელთა ქვეყნადაც“ ცნობილი ტრაპიზონის საკითხიც დასვა.

ევროპელთა მხრიდან საქართველოსადმი ინტერესი რამდენიმე ფაქტორით უნდა აიხსნას. საქართველოს გეოპოლიტიკით, მისი როგორც პლაცდარმის მნიშვნელობით მაჰმადიანურ სამყაროსთან მიმართებაში და იმ საერთო საფრთხეებიდან გამომდინარე, რაც ქრისტიანული სამყაროსთვის ახლო აღმოსავლეთიდან მომდინარეობდა. შესაბამისად, დასავლეთი მხარს უჭერდა ძლიერ და ერთიან საქართველოს. ანგარიში ეწეოდა ქართველების მიერ ამ რეგიონის ცოდნასა და გამოცდილებას, რაც „ქართლის ცხოვრებიდანაც“ ჩანს. საგანგებოდ აღნიშნავენ ქართველების მეზრძოლ ბუნებასაც, იმასაც, რომ ევროპელები მახლობელ აღმოსავლეთში მოგზაურობისას ქართულ ტანსაცმელს იცვამდნენ, რათა თავი დაცულად და უსაფრთხოდ ეგრძნოთ. მათ ასევე იცოდნენ, რომ ოსმალებმა ყველაზე დიდი მარცხი და კატასტროფა ქართველებთან ბრძოლებში განიცადეს.

## ელენე გიუნაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პართული ონომასტიკის კვლევისათვის საქართველოს ეპიგრაფიკულ, ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში

ისლამამდელი ირანისა და საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია და ღრმა ფესვები აქვს. ამ ურთიერთობათა სათავეები ჯერ კიდევ აქემენიანთა ხანას უკავშირდება და ინტენსიურ ხასიათს იმენს მომდევნო ეპოქებში – ელინისტურსა (ძვ. წ. IV-III სს.) და პართულში (ძვ. წ. III -ახ. წ. III სს.).

პართელების ეპოქიდან ჩვენამდე მოღწეული მდიდარი არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული და ნუმისმატიური მასალა (მცხეთა-არმაზის სამაროვნები, არმაზისხევის არამეული და ბერძნული წარწერები, დედოფლის გორის სასახლე, უფლისციხის კომპლექსი, არშაკიდების მონეტები), ასევე ქართული ნარატიული წყაროები ნათლად ადასტურებს არშაკიდებისა და იბერების მრავალმხრივ კონტაქტებს.

ჯერ კიდევ არამეულ (არმაზულ) და ბერძნულ წარწერებში (ახ. წ. I-III სს.) გვხვდება პართული საკუთარი სახელების თვალსაჩინო ნიმუშები. ისინი ხშირია ქართულ აგიოგრაფიულსა და საისტორიო წყაროებშიც.

მოხსენებაში წარმოდგენილია პართული ონომასტიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზი საქართველოს ეპიგრაფიკულ, აგიოგრაფიულსა და საისტორიო ძეგლებში.

**Helen Giunashvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **STUDIES ON PARTHIAN NAMES IN EPIGRAPHIC, LITERARY AND HISTORICAL RECORDS OF GEORGIA**

Historical-cultural relations of pre-Islamic Iran and Iberian kingdom (East Georgia) reveal the most ancient tradition. Penetration of Iranian culture in East Georgia has already been clearly distinguished from the Achaemenid era (VI-IV cc BC) and became more pronounced in later times, during the Hellenistic (IV-III cc BC) and Parthian (III c BC-III c AD) periods.

Rich archaeological material (elite burials in Mtskheta, Armazi, Bagineti, Bori, Zghuderi, the palace at Dedoplist Gora, numismatic data (Arsacid coins, discovered in Eastern Georgia) and historical evidence such as Old Georgian historical records (“The Life of Kartli”, “The Life of Georgian Kings”) attest the existence of direct cultural contacts between members of Iranian-speaking upper-class and autochthonous Kartvelians from Arsacid times onward.

A number of Parthian proper names were widespread in pre-Christian Iberia. They are already attested in Aramaic and Greek inscriptions of Georgia and are mostly frequent in V-XI cc Georgian literary and historic writings.

The paper presents a systematic etymological, semantic, and distributive analysis of Parthian proper names in Georgian, with the cultural-historical context of their penetration and authentic transmissions.



## რამაზ გორგაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რამდენიმე სომხური ნასესხობის შესახებ ქართულში (ავანდაგირი, ბოვი, ბორვალი, ქარანძავი, შილიანი)

მოხსენებაში განიხილულია ის ძველი ქართული ენის სიტყვები, რომლებიც გრაბარიდან (ძველი სომხური ენა) მომდინარეობს და ფიქსირებულია ილია აბულაძის ცნობილ ლექსიკონში („ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014).

#### 1. ავანდაგირი

მოცემული სიტყვა ორწევრიანი კომპოზიტია (ავანდ-ა-გირ) შეერთებული მაკავშირებელი -ა- ხმოვნით. პირველი სომხური კომპონენტი გამოხატავს „გადმოცემას, თქმულებას“, ხოლო მეორე - „წიგნს“. მთლიანობაში ნასესხობის მნიშვნელობაა: „გადმოცემათა და თქმულებათა წიგნი, კრებული; საისტორიო წიგნი.“

#### 2. ბოვი

საკვლევი სიტყვა ტექნიკური ტერმინია, რომელიც მომდინარეობს სომხ. բով [ბოვ] სიტყვიდან, რომლის მნიშვნელობაა: „მეტალის გამოსადნობი ქურა, ღუმელი, ბრძმედი“. იგი „საქართველოს ეთნოგრაფიულ ლექსიკონში“ დამოწმებულია შემდეგი განმარტებით: - „რკინის ქულბაქი, მადანთა პირველად გამოსადნობი“.

#### 3. ბორვალი

ფონეტიკური სახეცვლილებით მიღებული ეს ნასესხობა მომდინარეობს բուրღաღ [ბურუარ] „საცეცხლური“ სიტყვიდან. დამოწმებულია „ძველი ქართული ენის შეერთებულ ლექსიკონში“ მნიშვნელობით: - „მეტალის, უმეტესწილად ვერცხლის, საეკლესიო ჭურჭელი, რომლითაც საკმეველს აკმევენ“.

სომხურმა სიტყვამ ქართულში განიცადა გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები, კერძოდ, სომხური უ ქართულში გადმოვიდა ო ხმოვნით, ხოლო ბოლოკიდური რ სონორი - ლ ბგერით.

#### 4. ქარანძავი

მოცემული ნასესხობა მნიშვნელობით „გამოქვაბული“ მოდინარეობს քարանձավ [ქარანძავ] უკავშირო კომპოზიტის ფორმიდან, რომლის პირველი კომპონენტის (ქარ) მნიშვნელობაა „ქვა“, ხოლო მეორესი - (ანძავ)- „მღვიმე“.

#### 5. შილიანი

ერთობლივი სომხურ-ქართული ნაწარმოები ლექსემაა, სადაც ფუძის სახით გამოიყოფა სომხ. շիլ [შილ] „ელამი“ სიტყვა, რომელსაც ემატება ქონების მაწარმოებელი -იან ქართული სუფიქსი (შდრ. ბრუციან-ი, ბრუტიან-ი, ქუდიან-ი და სხვ.).

## Ramaz Gorgadze

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### ON BORROWED WORDS FROM ARMENIAN INTO GEORGIAN (Avandagiri (ავანდაგირი), Bovi (ბოვი), Borvali (ბორვალი), Kandzavi (ქარანძავი), Shiliani (შილიანი))

This report delves into the ancient Georgian words that originate from Grabar (Old Armenian language), which have been recorded in the works of Ilia Abuladze, more specifically his famous lexicon Old Georgian-Old Armenian Documentary Dictionary (Georgian National Center of Manuscripts, Tbilisi, 2014).

#### 1. *Avandagir-i*

The given term is actually a two-word composite. (Avand-a-gir) Interconnected with the vowel -a-. The definition of the first Armenian component would be translated as “to utter, to tell”, while the other one signifies – “a book”. The definition of the borrowed word in its entirety would be something along the lines of “a book of stories/fables, a compilation, a historical book”.

#### 2. *Bov-i*

The subject of this research is a technical term, deriving from the Armenian word “բով” [Bov], which denotes “metal melting hearth, oven, furnace”. It has been recorded in the “Georgian Ethnographic Lexicon” as with the following interpretation: - “Iron shop counter, the melting tool for metal ores”.

#### 3. *Borval-i*

This phonetically reinvented borrowing has its origins from the word բուրվար [Buruar] meaning “combustion chamber”. It has been recorded in the “Old Georgian Lexicon, Compiled” with the meaning of: - “Metal (mainly silver) ecclesiastical dish that was used as a frankincense burner. This Armenian word underwent certain phonetic changes. More specifically, the Armenian “Oo” sound went into Georgian as “O”, while the latter sonant changed from “R” to “L”.

#### 4. *Karandzav-i*

This appropriated word with the given meaning of „a cave“ comes from բարանձավ [Karandzav] an asyndetic composit form, where the meaning of the first component [Kar] denotes “rock”, while latter [andzav] signifies “cave, cavern”.

#### 5. *Shilan-i*

Common among Armenian as well as Georgian, this conjointly established lexem is an integration of Arm. շիլ [Shil] – “short-sighted”, with the addition of a Georgian suffix indicating “having, possessing” – “ian” [-იანი]. (Cf.: Bruts-iani – „short-sighted” [ბრუტციანი]; Brut-iani – “squint-eyed, crosseyed” [ბრუტციანი]; Kud-iani – “one who wears (owns) a hat” [კუდიანი].

## სიმონ გურეშიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### არაბული ქვეყნები და ათეიზმი

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია ისეთ ფენომენზე, როგორცაა ათეიზმი არაბულ ქვეყნებში. პირველი ნაწილი მოიცავს იმის აღწერას, თუ რომელ ქვეყნებში შეიმჩნევა ათეისტური განწყობები, გააჩნია თუ არა აღნიშნულ ფენომენს ისტორიული ფესვები, რამდენია მათი რაოდენობა, საზოგადოების რომელი ნაწილია მსგავსი განწყობის მხარდამჭერი, რა გამოწვევებმა განაპირობეს ათეიზმისიადმი ლოიალური განწყობები მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში არაბულ ქვეყნებში.

ძირითადი ნაწილი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ათეისტთა აქტივობა სოციალურ ქსელებში, მათი პოპულაობის დეტალები, ქალების ფაქტორი ათეიზმის მიმდევრებში და ქალთა მსგავსი განწყობების გამომწვევი მიზეზები. ასევე ყურადღება ეთმობა არა მარტო მუსლიმების, არამედ ქრისტიანების განწყობებსაც აღნიშნული ფენომენის მიმართ, ეგვიპტის მაგალითზე.

ბოლო ნაწილი ეთმობა იმას თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ ათეიზმის მიმართ არაბ ინტელექტუალებს, ასევე რა გამოწვევების წინაშე დგანან რიგითი ათეისტები მოხსენებაში განხილულ ქვეყნებში, როგორც ხელისუფლებების, ასევე საზოგადოების მხრიდან, რამდენად საფუძვლიანია საზოგადოების ანტეგონიზმი მათ მიმართ და აქვს თუ არა მათ ქვევას რეალური საფუძვლები.

დასკვნითი ნაწილი მოიცავს მცდელობას იმაზე, რომ პასუხი გაეცეს რა განვითარების პერსპექტივები აქვს ახლო და გრძელ ვადიან პერიოდში ათეისტურ მოძრაობებს არაბულ ქვეყნებში. ასევე რა შეიძლება აღნიშნული ფენომენის ზრდამ მოიტანოს საკუთრივს განხილული ქვეყნების და რეგიონის ცხოვრებაში, როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი კუთხითაც.

**Simon Gureshidze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **ARAB COUNTRIES AND ATHEISM**

The report focuses on a phenomenon such as atheism in the Arab world. The first part describes the countries in which atheistic activities are observed, whether the phenomenon has historical roots, approximate amount of them, which part of the society supports such attitudes, what challenges have led to atheistic attitudes in certain groups of the population in Arab countries.

The main part covers issue such as: the activity of atheists in social networks, the details of their popularity, the factor of women in the followers of atheism and the causes of similar attitudes of them. Following the example of Egypt, Attention is also paid not only to the Muslims but also to Christians towards this phenomenon.

The last section focuses on the attitude of Arab intellectuals towards atheism, as well as the challenges facing ordinary atheists from authorities and society as well, in the countries covered by the report. And does the public antagonism towards the atheists have real reasons, according to their behavior.

The conclusion covers an attempt to answer what kind of development prospects of atheist movements have in the Arab world in the near and long term. Also, what kind of consequences can bring the growth of this phenomenon for the Arab countries and for the entire region, in terms of its positive and negative results.

## **თამარ დემეტრაშვილი**

*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **სამოსის აღმნიშვნელი სპარსულ-არაბული ლექსიკა ქართულში XVI-XVII საუკუნეებში**

კვლევის მიზანია XVI-XVII საუკუნეებში სპარსული ენიდან შემოსული და ქართულში დამკვიდრებული სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკის გამოყოფა, ამ ლექსიკის ეტიმოლოგიური ძიება და ქართულ ენაში შემოსვლის გზების დადგენა.

ამ პერიოდის სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკის კვლევისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ და კულტურულ გავლენებს. ამ გავლენების შედეგად ირანულ ჩაცმულობასთან ერთად ქართულ ენაში შემოვიდა სამოსის აღმნიშვნელი როგორც სპარსული ლექსიკური ერთეულები, ასევე სპარსულ ენაში დამკვიდრებული არაბული წარმოშობის ლექსიკა.

ირანულ ენათა ოჯახის დიალექტური წრეებიდან ქართულში შეთვისებული სიტყვები სხვადასხვა დროისა და ხასიათისაა, თუმცა XVI-XVII საუკუნეებში ქართულ ენაში ლექსიკა უშუალოდ სპარსულიდან შემოვიდა ან ცოცხალი ენობრივი ურთიერთობის შედეგად, ანდა ლიტერატურული გზით.

სამოსის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულების ძიების დროს გათვალისწინებულია ამ პერიოდის ისტორიული გარემო, მატერიალური კულტურის ნიმუშები, წერილობითი წყაროები, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები და კათოლიკე მისიონერების რელაციები საქართველოს შესახებ, რაც უფრო სრულყოფილს ხდის სამოსის აღმნიშვნელი სიტყვების კვლევის საკითხს.

**Tamar Demetrashvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **PERSIAN-ARABIC CLOTHING VOCABULARY IN THE GEORGIAN LANGUAGE IN XVI-XVII CENTURIES**

The aim of the research work is to separate the clothing vocabulary imported from Persian and settled in Georgian in XVI-XVII centuries, to carry out etymological research of the clothing vocabulary and identify their entrance in the Georgian language.

The political and cultural influences of the Middle Eastern countries on Georgia are essential during the study of the clothing vocabulary of this period. As a result of this influence, along with the Iranian clothing, the Georgian language also adopted both Persian clothing lexical items and Arabic clothing vocabulary adopted by the Persian language.

The words that the Georgian language has adopted from Iranian languages are of various nature and periods and they derive from various dialectic groups. However, in the XVI-XVII centuries, the vocabulary in the Georgian language was introduced directly from Persian, either as a result of a live linguistic communication or through literary channels.

During the research of clothing lexical items are considered the historical environment of this period, samples of material culture, written sources, records of foreign travelers, and the reports of Catholic missionaries about Georgia, which makes the study of clothing vocabulary more complete.

**Tatyana Denisova**

*University Technology of Malaysia*

*Kuala Lumpur, Malaysia*

## **PROPHETIC DREAM IN THE MALAY MUSLIM HISTORIOGRAPHY AND ITS CULTURAL AND HISTORICAL INTERPRETATION**

Malay Islamic historiography from between the thirteenth and nineteenth centuries contains interesting information regarding the early history of the Islamization of the Malay world. Almost every text describes the first ruler who converted to Islam, his teachers, where he came from, how and when the conversion happened, etc. Information related to these matters became one of the most important arguments proving the legitimacy of the ruling sultan and his dynasty. Some of these statements are based on real historical events that could be accepted as a historical report, while others bear quasi-historical information. Specialists in Malay history used to focus only on events which they could consider historically proven or which at least 'sounded' like real history. Scholars interested in mythology and culture tend to examine the mythological aspect of Malay written tradition without any interrogation regarding its veracity or possible links to the real history. Meanwhile Malay chronicles usually contain both kinds of accounts; for example in *Hikayat Raja Pasai* we can find a story looking like a historical report (that about the ship from Mecca), as well as a totally quasi-historical passage about the miraculous dream of Merah Silau and his conversion to Islam. The article presents a comparison and content analysis of these two accounts found in one text, the earliest Malay historical work, which allows us to understand them better, as well as to guess/extrapolate the functions of myths in the Malay Muslim historiography.

## ნათია დუნდუა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### A-1448 (ხეც) ხელნაწერში დაცული ცნობები სპარსულიდან ნათარგმნი ლიტერატურის შესახებ

კორნელი კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი A-1448 (1801-1862) წარმოადგენს ტარასი ალექსიმესხიშვილის (1793–1874) კრებულს. ხელნაწერში, სხვა საინტერესო ცნობებთან ერთად, ჩამოთვლილია სპარსულიდან, ბერძნულიდან, სომხურიდან, რუსულიდან, ლათინურიდან, იტალიურიდან ქართულად თარგმნილი წიგნების ნუსხა (58v-61v), რომლებიც ცნობილი იყო XIX საუკუნის საქართველოში და რომელთაგანაც ნაწილი, სავარაუდოდ, ინახებოდა ქვათახევის მონასტრის ბიბლიოთეკაში.

მოხსენებაში გავაანალიზებთ ხელნაწერში დადასტურებულ სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებებს, ესენია: ქილილა დამანა, ამირნასარიანი, ქმნულების ცნობა, ჯამი აბასი, ომანიანი, ჩარ-დავრიშიანი, ზღაპრები გინა არაკებრი ისტორია, ზღაპრები ისტორია, როსტომიანი, ბაამიანი, ბარამიანი, ყარამანიანი (დიდი), ყარამანიანი (პატარა), თიმსარი, მირის ისტორია, ფარად შიხინისა, ფირმაღანის ისტორია.

## Natia Dundua

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### NOTES ON LITERATURE TRANSLATED FROM PERSIAN ATTESTED IN MANUSCRIPT A-1448 (NCM)

The manuscript A-1448 (1801-1862) preserved at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts is a collection of Taras Alexi-Meskhishvili (1793–1874). The manuscript, along with other interesting information, lists the books translated from Persian, Greek, Armenian, Russian, Latin, and Italian into Georgian, which were known in the 19th century Georgia and one part of them was probably kept at the library of the Kvatakhevi Monastery.

In the paper the works translated from Persian attested in the manuscript will be analyzed. They are as follows: Kilila and Damana, Amirasariani ("The story of Amirasar"), Ayat, Jāmi'-i 'Abbāsī, Omani, Char Darvish, Stories or Tales History, Stories History, Rostomian, Baamian, Baramian, Karamanian (large), Karamanian (short) Timsarian, History of Mir, History of Farad Shikhini, History of Firmaghan.



## ელისო ელიზბარაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### წმინდა რელიკვიების *adventus* ცერემონია და დაცვითი ფუნქცია

მოხსენებაში განხილულია წმინდა რელიკვიების ქალაქში შებრძანების რიტუალი, როგორც ეს ასახულია ბიზანტიელ ისტორიკოსთა თხზულებებში. კერძოდ, სვიმეონ ლოგოთეტი, თეოფანე გამგრძელებელი და არაბი ისტორიკოსები - იაჰია-იბნ საიდი და მიქაელ სირიელი - აღწერენ ედესის მანდილიონის კონსტანტინოპოლში შებრძანებას. გარდა ამისა, იოანე სკილიცე მოგვითხრობს, რომ 956 წელს იმპერატორმა კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა ანტიოქიიდან კონსტანტინოპოლში ჩამოიტანა იოანე ნათლისმცემლის მარჯვენა მკლავი.

აღნიშნული რელიკვიების კონსტანტინოპოლში შებრძანებას თან ახლდა საზეიმო რიტუალი - ეგებებოდნენ გალავნის გარეთ, ანთებული სანთლებით მიუძღოდნენ წინ, თაყვანს სცემდნენ იმპერატორები და დიდებულები. ყოველივე ეს *adventus* ცერემონიას გვაგონებს, რაც იმპერატორის ქალაქში შესვლის რომაული ტრადიცია იყო. ამ აქტით ხორციელდებოდა არა მარტო იმპერატორისადმი პატივის მიგება, არამედ თავად იმპერატორიც მიაგებდა პატივს ქალაქს და ხდებოდა მისი მფარველი.

*adventus* ცერემონია დოკუმენტურად გადმოსცემს, თუ როგორ ჩაენაცვლა იმპერატორის ღვთაებრივობის რომაულ კონცეფციას ქრისტიანული კონცეფცია, რის მიხედვითაც იმპერატორი არის არა ღვთაებრივი, არამედ უფლის მიერ კურთხეული, რჩეული. მეტიც, სახარებებში აღწერილი ქრისტეს შესვლა იერუსალიმში უზრუნველყოფს ამ ცერემონიის სიმბოლურ მნიშვნელობას.

ედესის მანდილიონის კონსტანტინოპოლში შებრძანება უფრო დეტალურადაა აღწერილი თხზულებაში *Narratio de imagine Edessena*, რომელიც კონსტანტინე პორფიროგენეტს მიეწერება. ტექსტის პათოსი გვიჩვენებს, რომ მისთვის მთავარია არა ისტორიული ფაქტების სიზუსტით გადმოცემა, არამედ ედესის მანდილიონის აპოტროპული ფუნქციის წარმოჩენა. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რამდენადაც რელიკვიების გადატანისა და ქალაქში შებრძანების რიტუალი ჩამოყალიბდა იმპერატორის *adventus* ცერემონიის მიხედვით და ამ აქტით წმინდანს იმპერატორის მსგავსად ხდებოდა ქალაქის მფარველი.

**Eliso Elizbarashvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **ADVENTUS CEREMONY AND DEFENSIVE FUNCTION OF THE SACRED RELICS**

The ritual of translating sacred relics into the city, as reflected in the writings of Byzantine historians, is discussed in the paper. In particular, Simeon Logothetes, Theophanes confessor, and the Arab historians - Yahya of Antioch (Yaḥya ibn Sa'īd al-Anṭākī) and Michael the Syrian - describe the arrival of the Mandyllion of Edessa in Constantinople. Moreover, John Skylitzes writes that in 956 the emperor Constantine VII Porphyrogenitus translated the right arm of John the Baptist from Antioch to Constantinople.

A solemn ritual accompanied the arrival of these relics in Constantinople - they were met outside the city walls, were led by lighted candles, were worshiped by emperors and nobles. All this evokes the *adventus* ceremony, the Roman tradition of entering the city by the emperor. This act honored the emperor, but the emperor himself honored the city and became its defender.

The *adventus* ceremony documents how the Christian concept replaced the Roman concept of the emperor's divinity, according to which the emperor is not divine, but blessed by the Lord, chosen. Moreover, the entry of Christ into Jerusalem, described in the Gospels, provides the symbolic significance of this ceremony.

The arrival of the Mandyllion of Edessa in Constantinople is described in more detail in the treatise *Narratio de imagine Edessena*, attributed to Constantine VII Porphyrogenitus. The pathos of the text displays that the main thing for him is not to convey the historical facts accurately but to present the apotropaic function of the Mandyllion of Edessa. That should not be accidental since the ritual of translating the relics and entering the city was modeled on the emperor's *adventus* ceremony, and like the emperor, the saint became the city's defender by this act.

## კასიდის როლი შუა საუკუნეების არაბულ პოეზიაში

არაბული ლიტერატურის ისტორია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეებში, ისლამის კულტურის ფორმირებაზე, ისლამის გაჩენამდე, მეხუთე საუკუნის დასასრულიდან იწყება. ის საერთოდ არ არის კავშირში ელინისტურ კულტურასთან, მისი პირველი ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ, ისლამამდელ პოეზიას, მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნის დასასრულიდან მეშვიდე საუკუნის შუახანებამდე, კერძოდ კი ისლამის გავრცელებამდე. არაბული ლიტერატურის ისტორიაში ისლამამდელი არაბული პოეზია წარმოადგენს განსაკუთრებულად გამორჩეულ და უმნიშვნელოვანეს პერიოდს. ამ დროს ჩამოყალიბებულმა პოეტურმა ფორმებმა, თემებმა, მოტივებმა და ჟანრებმა, აგრეთვე სალექსო ზომებმა განსაზღვრა შემდეგი პერიოდების პოეზიის გზები, მყარად დამკვიდრდა არა მარტო არაბულ პოეზიაში, არამედ სხვა მუსლიმური ქვეყნების ლიტერატურაშიც შეაღწია და საკმაოდ ძლიერი გავლენაც მოახდინა, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდეც კი იარსება. ისლამამდელ ლექსს ჰქონდა თავისი ფორმები: კასიდა და კიტ'ა, კასიდა (ნიშნავს რაიმე მიზნის მქონეს) არის დიდი მოცულობის, უფრო დასრულებული ლექსის ფორმა, ვიდრე კიტ'ა, რომელშიც ბეითთა რაოდენობა აღემატება თხუთმეტს. ჩვენამდე არ მოუღწევია 120 ბეითზე მეტ შემცველ კასიდას. მისი ფორმა შეიქმნა V საუკუნის დასასრულსა და VI საუკუნის დასაწყისში და XX საუკუნემდე მოაღწია.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შუა საუკუნეების პოეზიის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ეჭირა, სალექსო ფორმა კასიდას, რადგან, ის ისეთი მოქნილი, სრულყოფილი და დახვეწილი იყო, რომ ნებისმიერ პოეტს, აძლევდა საშუალებას გამოეხატა თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი მისწრაფება შეექმნა რაიმე ახალი, რომელიც მორგებული იქნებოდა შესაბამის დროსა და მდგომარეობას. ამასთანავე შეეძლო დაბრუნებოდა ძველს, მაგრამ თემატურობა ყოფილიყო იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე. ამიტომ, პოეტი, რომელიც კარგად იცნობდა კასიდის სტრუქტურას, მას შესანიშნავად იყენებდა, იწყებდა იმ თემით, რომელიც მისთვის იქნებოდა მომგებიანი, რათა თავიდანვე მიექცია მსმენელის ყურადღება, შემდეგ უცებ, კალეიდოსკოპური სისწრაფით გადასულიყო ძირითად თემაზე და მიეტანა საზოგადოებამდე ის სათქმელი, რაც თავიდანვე ჰქონდა განზრახული, ან შეეძლო ლექსი პირდაპირ დაეწყო ძირითადი თემით, ხოლო მასში კი ოსტატურად გაეკეთებინა სხვა თემების სინთეზი, ან ნახტომისებურად გადასულიყო ერთი თემიდან მეორეზე. ეს კი რათქმა უნდა მოითხოვდა პოეტის დიდ ცოდნას, სხვა ხალხებიდან მიღებული ლიტერატურული ტრადიციების გაგება-გააზრებას, რაც ასევე ერთობ მმნიშვნელოვანი იყო. ამ ყველაფერმა კი თავისი დიდი წვლილი შეიტანა, იმ საერთო არაბულ-მუსლიმური კულტურის ფორმირებაში, რაც ერთობ ყვაოდა შუა საუკუნეების სახალიფოში.

## **THE ROLE OF ḲASIDA IN THE MEDIEVAL ARAB POETRY**

The history of Arabic literature, which played a major role in the formation of Islamic culture in the Middle Ages, begins before Islam, by the end of V century. He does not appear to be connected with Hellenistic culture. The first examples of Arabic literature that survived covers the period from the end of the V century until the middle of the VII century, in particularly the period Before Islam. Pre-Islamic Arabic poetry takes the most important and special place in the history of Arabic literature. Poetic forms, themes, motifs, genres and poem measures established in that period determined the development of poetry of the next periods not only in Arabic poetry but in other Islamic countries. They were all spread in almost every Muslim country and influenced Islamic poetry greatly. These forms, themes, motifs, genres and measures of a poem existed until the end of the XIX century. Pre-Islamic verse had its own forms: Ḳasida (قصيد) and Ḳit'a/Muḳatta'a (قطعة // عوظم) (which means having some kind of goal) is big and more completed form than Ḳit'a/Muḳatta'a where the amount of couplets is more than fifteen. Ḳasida which survived and are available for us today, don't consist of more than 120 bayt's.

We can freely admit that the development of all the above-mentioned innovations were encouraged by ḳasida, the poem form which was so flexible, perfect and refined that enabled all the poets to express their individualism, create something new which would be relevant to current time and condition. It was able to go back to the past but thematically refer to the current political situation. Hence, the poet was familiar with the structure of ḳasida, used it perfectly and stated with the topic which was beneficial for him in order to get the attention of the audience from the very beginning. Then, in a matter of second he moved to the main topic and brings to the society what was aimed initially. Another version was to start from the main topic and synthesize other topics skillfully or skip from one topic to another. Undeniably, it was not easy and required great intelligence from the poet. Awareness and realization of literary traditions acquired from other people was of paramount importance. All the facts mentioned above contributed to the formation of the whole Arab-Muslim culture which flourished in the Medieval Caliphate.

## დავით თინიკაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პეტრეს მემკვიდრის იდეა და მისი ბიბლიური საფუძველი

რა ადგილი ეკავა პეტრე მოციქულს სხვა მოციქულთა შორის? პირველ რიგში, ეს საკითხია გამოსარკვევი, სანამ ისტორიის მანძილზე პეტრეს მემკვიდრის განსაკუთრებულ უფლებებზე დავიწყებდეთ საუბარს. რას გვეუბნება ამ თემაზე ქრისტიანობის ფუნდამენტური წერილობითი წყარო - ბიბლია?

პეტრეს სახელი ყოველთვის პირველ ადგილზე იხსენიება მოციქულთა სახელების ჩამონათვალში (მათ. 10:2-4; მარკ. 3:16-19; ლკ. 6:14-16; საქმ. 1:13-14). ამ დროს სწორედ პეტრეა მთავარ ფიგურად წარმოდგენილი. თუმცა პეტრე იყო მხოლოდ protos, რაც ნიშნავს მოწინავეს, პირველს კრებულში, წყებაში და არა arché ანუ საწყისს, პირველმიზეზს, მეთაურს. ამასთან, წმინდა წერილი პეტრეს სისუსტეებზეც მიუთითებს. ერთ ადგილას პავლე მოციქული მას კიცხავდა კიდეც. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის ქრისტიანთა საკრებულოს მეთაური იაკობი გახდა და არა პეტრე. თუმცა წმინდა წერილის სხვა ადგილებში ისევ და ისევ ნათლადაა წარმოჩენილი პეტრეს დაწინაურებული მდგომარეობა და წინამძღოლის როლი.

## David Tinikashvili

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### THE IDEA OF PETER'S SUCCESSOR AND ITS BIBLICAL BASIS

What place and role did the apostle Peter have among the other apostles? First of all, exactly the issue needs to be clarified before we start talking about the special rights of Peter's successor throughout history. What does the Bible's fundamental written source for Christianity tell us about it?

Peter's name always comes first in the list of apostles (Matt. 10:2-4; Mark 3:16-19; Luke 6:14-16; Acts 1:13-14). Peter is represented as the main figure in these events. Peter, however, was only a protos, meaning advanced, first in the assembly or in order, and not arché or the beginning, the first cause, the commander. However, Scripture also points to Peter's weaknesses and wrongdoings. As it is known the apostle Paul even rebuked him. It is also noteworthy that James, not Peter, became the head of the Christian community in Jerusalem. However, Peter's advanced position and role as a leader are still clearly represented in the Bible.

## ირაკლი თოფურიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მამლუქთა პერიოდის ბაღდადი უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებში

წინამდებარე მოხსენებაში მოყვანილია ცნობები მამლუქთა პერიოდის ქალაქ ბაღდადის შესახებ, რომლებიც ევროპელმა მოგზაურებმა, რეზიდენტებმა და სასულიერო პირებმა მოინახულეს და აღწერეს თავიანთ ნაშრომებში. საფაშოს დედაქალაქის აღწერა იწყება კარსტენ ნიბურის ცნობებით, რომელმაც მოინახულა ბაღდადი 1766 წელს და მთავრდება 1831 წლის ქალაქის მდგომარეობის გაშუქებით, როდესაც ერაყში მამლუქთა ძალაუფლება განადგურებულ იქნა. ევროპელი ვიზიტორები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ბაღდადის ურბანული სტრუქტურის, მოსახლეობის რაოდენობისა, სოციალური ფენების და ეროვნულ-რელიგიური შემადგენლობის შესახებ. ასევე საგულისხმოა მოგზაურთა ცნობები ქალაქის მოსახლეობის ტანისამოსის შესახებ, რაც სოციალური ფენების და რელიგიური კუთვნილების მხრივ განსხვავდებოდა.

## Irakli Topuridze

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### MAMLUK'S BAGHDAD IN THE RECORDS OF FOREIGN TRAVELERS

This paper contains the information about mamluk's Baghdad which was visited and described in their works by the European travelers, residents and clerics. The description of the capital of Pashaliq begins with the information of Carsten Neibuhr who visited Baghdad in 1766 and ends with the coverage of the situation in the city on 1831 when the power of mamluks was terminated in Iraq. European visitors provide very important information about urban structure of Baghdad, number of citizens, social classes and national and religious composition. Also, there are important intersecting references from the foreign travelers about the clothing of the citizens which differed proceeding from their social and religious affiliations.

## სოფიო იმედაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### „კატაბანი“ და „ხარაზანი“ ლექსემები ს. ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით

**კატაბანი – (+ ვეფხისტყაოსანი Z ) მატყუარი თუ სატყუარი ZA (საბა 1991: 356).**

ამ ლექსემის ირგვლივ სულხან–საბას თავის ლექსიკონში „დიდი ცილობა“ მოუწყვია, თუმცა ზუსტ პასუხამდე ვერ მისულა. E რედაქციაში ვკითხულობთ: „კატაბანზე დიდი ცილება იყო და წიგნში გარჩევით ვერსად ვნახე. მრავალი წიგნია, რომელთა არს სახელი მასმოდეს. მთიულთ მოურავმან მოგვითხრა, მთის კაცნი ტყუილს უწოდენო. ამას „ვეფხის–ტყაოსანიც“ მიჰგავს: „ჩემნი მჭკრეტელნი კვირობდენ, მართალ არს არ კატაბანი“. მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“ სწერის, კეისარმან ბაგრატ მეფეს კატაბანი გამოატანაო. ეგება მატყუარი გამოატანაო, დასაჯერებლად არ დამიწერია, თქვენც იძიეთ“.

ი. გიპერტი „ვეფხისტყაოსნის“ კატაბანის საფუძვლად სომხურ kadaban ფორმას გულისხმობს. მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი სპარსული katak-იდან მიღებული სომხური კომპოზიტია katakaban, რომელიც ნიშნავს „კომედიას“. ამ სიტყვამ მიიღო „თამაში, წარმოდგენა, ხუმრობა“ მნიშვნელობა, ე. ი. მოტყუება პოზიტიური გაგებით (გიპერტი 1993: 109).

ნიკო მარი პარალელს ავლებს ქართულ კატაბანსა და სომხურ katapan-ს შორის. ამოსავალ სიტყვად მიაჩნია სპარსული kadbĀn „სახლის, სოფლის მცველი, მამასახლისი“. იგი თვლის, რომ სომხური ფორმა უფრო ძველია, ვიდრე ბერძნული კატეპანო κατεπάνω (მარი 1904).

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული კატაბანი არაბ. كاذب/kaĒĀb „ცრუ, მატყუარა“ ფორმიდან მომდინარე ორობითი რიცხვის ფორმაა: كاذبان/kaẓẓĀbĀni – „ორი მატყუარა“. იგი, როგორც ტერმინი, ითქმოდა ორ ცრუ წინასწარმეტყველზე: musailimat al hanafiy -სა და aswad al =ansxy, რომელნიც გამოჩნდნენ მუჰამედის შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულზე (ჯონსონი 1852:1001). كاذب/kaĒĀb სიტყვა ჯერ კიდევ ყურანშია ფიქსირებული „ცრუ, მატყუარა“ მნიშვნელობით (გირგასი 1981: 691). სპარსულ ენაში كاذب/kaẓẓĀb – „ძალიან მატყუარა“–ს ნიშნავს და არაბული წარმომავლობა უდასტურდება (მოინი 1996: 2926). არაა გამორიცხული, რომ ქართულ „ნარიან“ მრავლობითთან გვექნდეს საქმე – სიცრუეები, მატყუარები.

„ლექსიკონი ქართულის“ წყაროებში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვაა დამოწმებული: არაბული კაზაბა – „ტყუილი“ და ბერძნული კატეპანო – „ქალაქის თავი“. კატაბას მრავლობით ფორმაში გამოყენებამ ეს ორი სიტყვა დაამსგავსა ერთმანეთს. „ვეფხისტყაოსანში“ – „კატაბანი“ არაბული ფორმაა დამკვიდრებული.

**ხარაზანი – ლოდნი, წარიგებით ჩასხმულნი გრძლად საზღვართაებრ ZA (საბა 1993: 417).**

حراز/Īaraz „პატარა მარგალიტები, მინის მარცვლები, ან მსგავსი რამ (უმეტესად ჩამოკიდებული ყელზე, ავი თვალის დასაცავად)“, ხოლო حراز/ĪarazĀt

„მარცვალი“; *ŌarazĀtu l –maliki* „მარგალიტი ან სხვა ძვირფასი ქვა სამეფო გვირგვინზე, რომელიც იმატებს მეფობის წლებთან ერთად“ (ჯონსონი 1852: 516).

სპარსულ ენაში *xarz* არაბიზმია „კაკილა, მინის ნატეხი, ბურთულა“ მნიშვნელობებით (მოინი 1996:1410). თურქულსა და ოსმალურში იგი არ დაიძებნა.

აღნიშნული სიტყვის სემანტიკას თუ გადავხედავთ, მას სპარსულსა და ქართულში იგივე მნიშვნელობები უფიქსირდებათ, თუმცა ქართულის ფორმა არაბულისკენ უფრო იხრება. სიტყვის ფონეტიკური აღწერილობა აბსოლუტურად შეესაბამება არაბულს. არაბული *خراز/Ōaraz* > არაბ. მრავლ. *خرازات/ŌarazĀt* > ქართ. ხარაზანი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულში ნარიან მრავლობითთან გვაქვს საქმე. ხარაზანი *ŌarazĀt*-ის ზუსტი თარგმანია. შესაბამისად, ხარაზანი = ლოდნი (ნარიანი მრავლობითის ფორმით გავრცელდა ენაში).

ამრიგად, „კატაბანი“ და „ხარაზანი“ არქაული ლექსემებია, რომლებიც ქართული ნარიანი მრავლობითი რიცხვით დამკვიდრებული ფორმებია სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით.

## Sopio Imedadze

*Akaki Tsereteli State University*

### FOR THE MEANING OF TWO LEXEMES “KATABANI” AND “KHARAZANI” IN “THE GEORGIAN DICTIONARY” BY SULKHAN-SABA ORBELIANI

**Katabani - (+The Knight in the Panther's Skin Z) - a liar or a bait ZA (Saba 1991: 356).**

Sulkhan-Saba seemed to have a “big disceptation” in his dictionary around this lexeme, but he could not come up with an exact answer. According to the editors, Sulkhan-Saba was in limbo. People living in a mountainous area used this word with the meaning of a liar. It is used with the same meaning in “The knight in Panther’s Skin”. But in “Kartlis Tskhovreba” (The Georgian Chronicles) it is written that Ceaser sent katabani with the help of King Bagrat. Maybe he sent a bait, who knows. I do not insist, you look for it” (Sulkhan-Saba Orbeliani, the Georgian Dictionary: 1991: 356).

According to J. Gippert, the lexeme “katabani” that is found in “The Knight in Panther’s Skin” could have been derived from an Armenian word “kadaban”. The researcher thinks that it is an Armenian composition “katakaban” derived from the Persian katak, which means "comedy". This word took on the meaning of "game, imagination, joke", in other words, this word took on the meaning of deception in a positive sense (Gippert 1993: 109).

Niko Marr draws a parallel between Georgian katabani and Armenian katapan. The starting word is considered to be the Persian *kadbĀn* “guardian of the house, village, father”. He believes that the Armenian form is older than the Greek one - *katapano χατεπάνω* (Marr 1904).



Despite the differences in opinions, we can say that the word “katabani” found in the “The Knight in Panther’s skin”, is a binary plural noun كذّابان/kazzÁbÁni – “two liars” that comes from an Arabic word باذك/kaĒÁb meaning a liar, a falsifier. It was used as a term to refer to two false prophets: musailimat al hanafiy and aswad al ÷ansxy, who appeared on the Arabian Peninsula after Muhammad (Jonson 1852:1001). The word باذك/kaĒÁb is found in Quran with the meaning “false, deceitful” (Girgas 1981: 691) Georgian archaic pluralization (nartaniani plural) of these lexemes “sitsruveni, matkuarebi” (liars, falsifiers) could not be excluded either.

In the “Georgian Dictionary” by Sulxhan-Saba, two words with different meanings are referred for the meaning of the word “katabani”: Arabic Kazaba - "lie" and Greek Katepano - "city head". The use of kataba in the Georgian archaic plural form has made these two words similar to each other. The Arabic form "Katabani" is demonstrated in “The Knight in the Panther’s Skin”.

**Kharazani – boulders, stones, lined with a long border ZA (Saba 1993: 417).**

زرخ/Ōaraz - "small pearls, glass beads, or something similar (mostly hanging around the neck to protect a person from the evil eye)". As for تازرخ/ŌarazÁt – it means „granule”; ŌarazÁtu l –maliki – “a pearl or other precious stone on a royal crown that grows in number with the years of reign” (Jonson 1852: 516).

In Persian, xarz is Arabic for “a bead of a necklace, a piece of glass, a ball” (Moin 1996:1410). It was not found in Turkish and Ottoman languages.

If we look at the semantics of this word, it has the same meanings in Persian and Georgian, although the Georgian form is closer in meaning with the Arabic word. The phonetic description of the word absolutely corresponds with Arabic. Arabic زرخ/Ōaraz > Arabic plural تازرخ/ŌarazÁt > Georgian –Kharazani. We think that in Georgian archaic plural form is used. Kharazani is an exact translation of the word ŌarazÁt. Accordingly, the lexeme Kharazani spread in the Georgian language in a form of narian (Georgian archaic) plural.

Thus, the lexemes “Katabani” and “Kharazani” are Georgian archaic (nariani) plural forms established in the Sulxhan-Saba Orbeliani’s ‘Georgian Dictionary’.

## ინგა ინასარიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბაჰრეინი რეგიონალური დომინანტობისთვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირების კონტექსტში

ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირება, რომელსაც ხშირად ხსნიან რელიგიური და იდეოლოგიური განსხვავებულობით, რეალურად დაკავშირებულია ორი წამყვანი სახელმწიფოს რეგიონალურ ამბიციებთან და დომინანტური პოზიციების შექმნის სურვილთან. ამ დაპირისპირებაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ პირდაპირ კონფლიქტში არასდროს ერთვებიან, არამედ ჩართულები არიან ე.წ. „პროქსი ომებში“. ბაჰრეინი წარმოადგენს ერთ-ერთ მაგალითს, თუ რა გავლენას ახდენს ირანის და საუდის არაბეთის კონკურენცია რეგიონში სხვა ქვეყნებზე. ბაჰრეინის სამეფოს მართავს საუდის არაბეთის მოკავშირე სუნიტური ალ-ხალიფას დინასტია, თუმცა, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ შიიტები, რასაც ბერკეტად იყენებს ირანი.

## Inga Inasaridze

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### BAHRAIN IN THE CONTEXT OF THE SAUDI-IRANIAN CONFRONTATION FOR THE REGIONAL DOMINANCE

The Saudi-Iranian disagreement interpreted as the religious and ideological differences is related to the regional ambitions of two key players. The important point of this competition is that Tehran and Riyadh never confront against each other, but involve in proxy wars and using the third states. Bahrain is a clear example how this rivalry may affect other countries of the Middle East region. The kingdom of Bahrain is ruled by Sunni al-Khalifa's family, which is crucial ally and client state of Saudi Arabia. However, the fact that the majority of Bahrain's population is discriminated Shia Muslims creates opportunity for Iran.

**Kevin Jernigan**

*University of Arizona*

## **LIVING WITH BIRDS IN KAKHETI**

The Caucasus region, as an area of high biocultural diversity, has been the focus of recent efforts to preserve both local languages and biological species. This project addresses this biocultural intersection by focusing on the traditional ecological knowledge (TEK) of the Akhmeta municipality of Kakheti, Georgia. The work was carried out in two stages, during fall, 2019 and fall, 2021. The research involved documenting the TEK of local bird species in the Akhmeta municipality, which encompasses two designated important bird areas (IBAs) and one endemic bird area (EBA). The ethnographic work was conducted with two Nakh speaking peoples, the Tsovatush of Zemo Alvani and the Kist Chechens of the Pankisi Valley. IT focused on the following objectives: 1) compile local bird names and determine which biological species they correspond to; 2) record specific TEK about life histories of local bird species; 3) explore the importance of birds in other cultural domains, including stories, legends and songs; 4) establish which species are hunted or used in other ways as well as local attitudes toward endangerment and conservation. This presentation will discuss the many similarities, as well as some notable differences between the Tsovatush and Kist in these areas.

## თინათინ კუპატაძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბიბი ხანუმ ასთარაბადი და მისი როლი ქალთა მოძრაობის ისტორიაში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ირანში ქალთა მოძრაობას მხოლოდ ცალკეული აქტივისტებითა და მათი მოღვაწეობით თუ წარმოვიდგენთ, რომლებმაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური საფუძველი მოუშადას მე-20 საუკუნის ქალებს. ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქალთა სამეული ქურათ ალ აინის, თაჯ ოს-სოლთანესა და ბიბი ხანუმ ასთარაბადის სახით. ისინი იყვნენ პირველი ქალები, სხვადასხვა სოციალური წრიდან და სხვადასხვა ისტორიით (ბექგრაუნდით), რომლებმაც პირველად აიმაღლეს ხმა არსებული პატრიარქალური წყობისა და ქალთა უფლებების წინააღმდეგ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლისთვისაც ისინი იბრძოდნენ, ქალთა განათლება იყო. „სამწუხაროა, ჩემმა თანამემამულე ქალებმა თავიანთი უფლებების შესახებ არაფერი იციან... ერის ტრადიციები და ეთიკაა, რამაც ქალებს ბედნიერებისაკენ მიმავალი ყველა გზა ჩუკეტა, დატოვა ისინი გაუნათლებელი, უბედური და გამოუსადეგარი... ყოველგვარი მორალური დეფექტი და ბოროტება ამ ქვეყანაში ქალების გაუნათლებლობის გამო წარმოიშვა და გავრცელდა.“<sup>1</sup> ქალთა უნივერსალური განათლებისათვის მებრძოლთა პიონერებში გამორჩეულად მნიშვნელოვანია ბიბი ხანუმ ასთარაბადის წვლილი. სწორედ მისი მოღვაწეობის ანალიზს შევეცდებით ქალთა უფლებების პროპაგანდის კუთხით ჩვენს მოხსენებაში.

---

<sup>1</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 78-84

**Tinatin Kapatadze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **BIBI KHANOM ASTARABADI AND HER ROLE IN THE HISTORY OF WOMEN'S MOVEMENT OF IRAN**

In the second half of the 19th century women movement in Iran was presented only by the particular activists. It was their work and propaganda that provided main ideological basis for the women movement of the 20th century in Iran. In this regard the women trio including Tahereh Qurat al-Ain, Taj al-Saltana and Bibi Khanom Astarabadi, are especially noteworthy. They were women from different social classes and backgrounds with the same goal and aim – struggle against patriarchal social system of Iran and for women's rights. One of the main issues was women's literacy and education. "...The women of Persia are ignorant of their rights and make no effort to fulfil their obligations as human beings... All moral defects or evils in this country have originated and spread from absence of education for women"<sup>2</sup>. Contribution of Bibi Khanom Astarabadi in fighting for the universal education of women is extremely important. In my paper I will try to analyse her work and activity in the framework of propaganda of women's rights and their emancipation.

---

<sup>2</sup> Anna Vanzan and Amin Neshati, trans., *Taj Al-Saltana Crowning Anguish, Memoirs of a Persian Princess, From the Harem to Modernity*, (Mage Publishers, Washington DC), 78-84.

## თამარ ლეკვეიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საპატიო სამოსის ჩუქების ტრადიცია მე-17 ს-ის სპარსულ წყაროებში

საპატიო სამოსის ჩუქებას საქართველოში მეფეებისა თუ დიდგვაროვნებისათვის ხანგრძლივი ტრადიციაც ჰქონდა და ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც. საჩუქრის ჩუქების წესი, იმისდა მიხედვით იცვლებოდა, თუ ვისი ქვეშევრდომობის ქვეშ იმყოფებოდა საქართველო ამა თუ იმ პერიოდის განმავლობაში.

XVI-XVII საუკუნეებში, გამომდინარე ირან-საქართველოს ინტენსიური პოლიტიკური ურთიერთობიდან, ბუნებრივია, საჩუქრის (ხალათი, ძვირფასი სამკაული და მისთ.) ჩუქების ტრადიციაც ირანული ხდება.

მოხსენებაში განხილულია, თუ როგორ აისახება ეს ტრადიცია მე-17 საუკუნის სპარსულ წყაროებში, ისქანდერ ბეგ მუნშის „თარიხე ალემ არა-იე აბასისა“ („ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა“) და ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის „აფზალ ალ-თავარიხის“ („მშვენიერი ისტორია“) მიხედვით.

## Tamar Lekveishvili

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### THE TRADITION OF GIFTING HONORARY CLOTHES IN PERSIAN PRIMARY SOURCES OF THE 17<sup>TH</sup> C.

Giftng honorary clothes to Kings and nobles in Georgia had a long tradition and a political meaning. The order of contributing those gifts depended on under which sovereign's mercy was Georgia in the given moment. Based on the political relations between Iran and Georgia in the 16<sup>th</sup>-17<sup>th</sup> centuries, naturally, the tradition of giftng (Khal'at, adornments etc.) also becomes Iranian.

In the paper is discussed how this tradition is reflected in 17<sup>th</sup> century Persian primary sources – Iskandar Beg Munshi's "Alam ara-I Naderi" and Fazli Beg Khuzani Isfahani's "Afzal At-Tavarikh".

## ემზარ მაკარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ახალი იდენტობის საკითხები თანამედროვე თურქეთში

ნებისმიერი სახელმწიფოს, დემოკრატიული განვითარების მაღალ საფეხურზე რომ ავიდეს, სჭირდება ძლიერი საზოგადოება და პოლიტიკური ნება.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლმა მუსტაფა ქემალ ათათურქმა (1881-1938), ქვეყნის სახელმწიფოებრივი განვითარების გეზი დასავლეთისაკენ მიმართა და ევროპეიზაციის გზა უცვლელ საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრინციპად გამოაცხადა.

XXI საუკუნის პირველ ათწლეულში, თურქეთში მიმდინარე მოვლენებმა, გვაჩვენა, რომ ქვეყანაში ყალიბდება ახალი იდენტობა. ისმება კითხვა, რამდენად გააგრძელებს რესპუბლიკური თურქეთი დემოკრატიული და ევროპული ფასეულობებით სვლას და შეინარჩუნებს მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელმწიფო მმართველობას თუ მოგვევლინება როგორც ახალი, განსხვავებული სახელმწიფო ერთეული.

თურქეთისა და მისი ლიდერისათვის, ისლამი ინსტრუმენტია, რომლითაც მას პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია და თურქეთის ტრადიციულ, კონსერვატიულ საზოგადოებად ჩამოყალიბება სურს, სადაც ნაკლებია სოციალური, ეთნიკური და სხვა სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული პროტესტის გენერირების შესაძლებლობა.

უახლოესი ათწლეულები კი, პასუხს გასცემს კითხვას, შეიძლება თუ არა მუსლიმური კულტურის მატარებელი ქვეყნის ადაპტაცია დემოკრატიულ, დასავლურ ცივილიზაციასთან და როგორი იქნება მისი შედეგები.

**Emzar Makaradze**

*Shota Rustaveli State University*

## **ISSUES OF NEW IDENTITY IN MODERN TURKEY**

Any state needs a strong society and political will to achieve a high level of democratic development.

At the beginning of the 20th century, the founder of the Turkish Republic, Mustafa Kemal Ataturk (1881-1938), directed the course of the country's state development to the West and proclaimed the path of Europeanization as the main principle of the invariability of domestic and foreign policy.

Current events in Turkey in the first decade of the 21st century have shown that a new identity is being formed in the country. The question is whether republican Turkey will continue to adhere to democratic and European values and support the rule of Mustafa Kemal Ataturk, if it shows itself as a new, different state entity.

For Turkey and its leaders, Islam is a tool with which it seeks to stabilize the political system and turn Turkey into a traditional conservative society with fewer opportunities to generate protests against social, ethnic and other civil rights.

The coming decades will show whether the country with a Muslim culture will be able to adapt to a democratic Western civilization and what the consequences will be.



## გიორგი მაჭარაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### კავკასიური ანბანების წარმოშობა ისტორიული ეთნოსიმბოლიზმის მიხედვით (წინასწარი კვლევის შედეგები)

კავკასიური ანბანების დათარიღებისა და მათი პროტოტიპების შესახებ საპირისპირო მოსაზრებები არსებობს. ნარატიული წყაროები ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს შეიცავს, ძველ ლეგენდებში რთული ფენომენის გამარტივებული ხედვაა წარმოდგენილი, ხოლო არქეოლოგიური ფაქტები არ შეესაბამება ყველა მნიშვნელოვან ნარატიულ წყაროს. ისტორიული ეთნოსიმბოლიზმი კავკასიური ანბანების შესწავლის ახალ პერსპექტივებს ხსნის და იძლევა შესაძლებლობას მოვნახოთ პასუხები არსებულ კითხვებზე.

ადგილობრივ ენებზე დამწერლობების განვითარება გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს ერების ჩამოყალიბების პროცესში. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ერების წარმოშობა წმინდა წერილის მშობლიურ ენებზე თარგმნასთან არის დაკავშირებული. იგივე ხდება კავკასიაში, სადაც გაქრისტიანებიდან მალევე ჩნდება ადგილობრივი ანბანები.

ისტორიული ეთნოსიმბოლიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები ეროვნულ კულტურებს წინამოდერნულ ისტორიულ ეპოქებშიც ხედავენ. ე.დ. სმითი მიიჩნევს, რომ ერების ჩამოყალიბებისა და გამოჩენის პროცესებს ყველა ისტორიულ ეპოქაში ვხვდებით. მისი აზრით, ახ.წ. V საუკუნეში სომეხთა ერთობა ერის იდეალურ ვარიანტთან არის მიახლოებული. ამ თეორიის მიხედვით, ერებს ღრმა ეთნიკური ფესვები აქვთ, მათი კულტურები ძველ მითებს, ლეგენდებსა და სიმბოლოებს ემყარება.

ამის დანახვა კავკასიურ ანბანებშიც არის შესაძლებელი. ამ ანბანების უადრესი ნიმუშები გაქრისტიანებიდან მალევე ჩნდება, მაგრამ მათში წარმოდგენილი სიმბოლოები (ზოგიერთი მათგანი მაინც) წინაქრისტიანულ ისტორიულ ეპოქებშიც აქტუალური იყო. ამ ძველ სიმბოლოებსა და კავკასიური ანბანების გრაფემებს შორის პირდაპირი და მითუმეტეს უწყვეტი კავშირები არ არსებობს, მაგრამ ისტორიული ეთნოსიმბოლიზმი გვაძლევს შესაძლებლობას ავხსნათ განსხვავებულ კულტურებში მსგავსი სიმბოლოების არსებობა.

**Giorgi Macharashvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

**THE ORIGINS OF CAUCASIAN ALPHABETS FROM THE PERSPECTIVE  
OF HISTORICAL ETHNOSYMBOLISM  
(PRELIMINARY OVERVIEW)**

There are conflicting opinions on the prototypes of the Caucasian alphabets and the time of their origins. Narrative sources contain different data, old legends provide simplified views of the complex phenomena, and the archaeological evidence does not match all major narrative sources. Historical Ethnosymbolism opens up new perspectives for the study of the Caucasian alphabets and finding answers to existing questions.

The development of writing in local languages is a decisive factor in the process of nation-formation. The origins of nations in Western and Central Europe are associated with the translation of the Holy Scripture into vernacular languages. The same is true in the case of the Caucasus, where, after Christianization, local alphabets appeared.

The most prominent representatives of Historical Ethnosymbolism tend to attribute national cultures to pre-modern eras as well. A.D. Smith thinks that "processes of national formation and representation are found in all epochs". He considers "fifth-century Armenians as approximating to the ideal type of the nation". According to this theory, nations have deep ethnic roots, and their cultures are based on the old myths, legends, symbols.

This can be seen in the Caucasian alphabets. The earliest examples of these alphabets appeared soon after Christianization, but symbols represented in them (at least some of them) were important in the pre-Christian eras. There is no direct or uninterrupted connection between these ancient symbols and graphemes of the Caucasian alphabets, but Historical Ethnosymbolism explains the existence of similar symbols in different cultures.

## ჯაბა მესხიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### 1905 წელს იაპონური მხარდაჭერით შექმნილი იარაღის შემოტანა საქართველოში

1904-1905 წლებში შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-იაპონიის სასტიკი ომი გაიმართა, რომელშიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იძულებით მყოფი ქართველი მეომრებიც იყვნენ ჩართულები, თუმცა უნდა ითქვას რომ ქართველები ამ ომში არა რუსეთის იმპერიის, არამედ იაპონიის გამარჯვებას თანაუგრძნობდნენ. ომი ძალიან სისხლის სისხლისმღვრელი აღმოჩნდა და იაპონიას მასში გამარჯვების მიღწევა ძალიან გაუჭირდა.

იაპონური მხარე ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვარაუდობდა, რომ რუსეთი იმპერიასთან ბრძოლა ქვეყანას ძალიან გაუჭირდებოდა, ამიტომ როდესაც საომარი მოქმედებები დაიწყო, მათ გადაწყვიტეს რომ მოწინააღმდეგის დამარცხება უფრო გაუდვილდებოდათ, თუ კი რუსეთის იმპერიის შიგნიდან მოახერხებდნენ არეულობის მოწყობას. ამ მიზნის მიღწევისთვის იაპონური დაზვერვის ოფიცერს, პოლკოვნიკ მოტოჯირო აკაშის დაევალა მოემებნა სხვადასხვა პატრიოტული და რევოლუციური განწყობის მქონე პირები, რომლებიც სათანადო დახმარების გაწევის შემთხვევაში რუსეთის იმპერიას ქვეყნის შიგნიდან შექმნიდნენ პრობლემებს. აკაშიმ მოახერხა კავშირის დამყარება როგორც რევოლუციური განწყობის მქონე რუსეთში მოღვაწე სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან, ასევე პოლონელ, ფინელ, სომეხ და ქართველ პატრიოტებთან, რომელთა მიზანს წარმოადგენდა საკუთარი სამშობლოების რუსეთის იმპერიის დაპყრობისგან დახსნა.

მოტოჯირო აკაში ევროპაში რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის წარმომადგენლებს, რომლის შემდეგ გადაწყდა რომ იაპონური დაფინანსებით ევროპაში შეიქმნდნენ ცეცხლსასროლ იარაღს და საქართველოში გამოგზავნიდნენ პატრიოტული ჯგუფების შესაიარაღებლად. 1905 წელს, საქართველოს სოციალისტურ-ფედერალისტური სარევოლუციო პარტიის წევრმა გიორგი დეკანოზიშვილმა შვეიცარიაში შეიძინა რამდენიმე ათასი ცეცხლსასროლი იარაღი და რამდენიმე მილიონი ვაზნა და ჰოლანდიიდან საქართველოში გემით ფარულად გამოაგზავნა. 1905 წლის მიწურულს, გემმა საქართველოს შავი ზღვისპირეთს მოაღწია, თუმცა რიგი პრობლემების გამო მხოლოდ იარაღის ნაწილის გადმოტანა მოხდა ნაპირზე, ნაწილი კი რუსულ პოლიციას ჩაუვარდა ხელში, ხოლო ნაწილი თავად ჩაძირეს ზღვაში.

**Jaba Meskhishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **IMPORT OF WEAPONS PURCHASED WITH JAPANESE SUPPORT IN GEORGIA IN 1905**

In 1904-1905, a fierce Russian-Japanese war broke out in the Far East, in which Georgian soldiers who were internally part of the Russian Empire were also involved. However, it must be said that the Georgians sympathized not the victory of the Russian Empire, but the success of Japan in this war. The war turned out to be very bloody and it was very difficult for Japan to achieve triumph in it.

Even before the beginning of the war, the Japanese side suggested that the country would find the war with the Russian Empire very difficult. So, when the war broke out, they decided that it would be easier to defeat the enemy if they could even create unrest within the Russian Empire. To achieve this, the Japanese intelligence officer, Colonel Motojiro Akashi, was tasked to find various patriotic and revolutionary individuals who, if properly assisted, would create problems inside the Russian Empire. Akashi managed to establish alliances with representatives of various political parties in revolutionary Russia, as well as with Polish, Finnish, Armenian and Georgian patriots, whose goal was to liberate their homelands from the conquest of the Russian Empire.

Motajiro Akashi met several times in Europe with representatives of the Georgian Socialist-Federalist Revolution Party, after which it was decided that they would buy firearms in Europe with Japanese funding and send them to Georgia to arm the patriotic group. In 1905, Giorgi Dekanozishvili, a member of the Georgian Socialist-Federalist Revolution Party, bought several thousand guns and several million cartridges in Switzerland and secretly shipped them from the Netherlands to Georgia. At the end of 1905, the ship reached the Black Sea coast of Georgia, but due to a number of problems, only part of the weapon was unloaded on the shore, part of it fell into the hands of the Russian police, and part of it was sank by themselves in the sea.

## მარინა მეფარიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მყარი და დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნა სემიტურ ენებში

1. მოხსენებაში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლებიც ეხება ერთ-ერთი თემატური ჯგუფის ლექსიკურ-სემანტიკურ ანალიზს სემიტურ ენებში. საზოგადოდ, ლექსიკურ-სემანტიკური ხასიათის კვლევები მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის როგორც ისტორიულ-შედარებითი, ისე ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა სახის როგორც მყარი, ისე დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების, ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების აღმნიშვნელი ლექსემების თემატური ქვეჯგუფი, რომელიც იერარქიულად უფრო ფართო, სხეულის ნაწილების ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს მიეკუთვნება. ნაშრომის მიზანი იყო, გამოვლენილიყო ძირები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ფართო დისტრიბუციითა და სწორი რეგულარული ფონეტიკური შესატყვისებით, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა მათი აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე იმ მნიშვნელობით, რაც უკავშირდებოდა განსახილველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფს, კერძოდ, ძვლებისა და ძვლოვანი წარმონაქმნების როგორც მყარი, ისე დრეკადი შემაერთებელი ქსოვილების აღნიშვნას.

2. მოხსენებაში განხილული მასალის ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა დაბეჯითებით ითქვას შემდეგი:

ა. ძვალ-ხრტილოვან სისტემაში შემავალი მაგარი შემაერთებელი ქსოვილების ანუ ძვლებისა და სხვა მყარი ძვლოვანი სტრუქტურების სემანტიკის მქონე თემატური ჯგუფის აღნიშვნა დასტურდება პროტოსემიტურ დონეზე რეკონსტრუირებულ შემდეგ ძირებში: *tm*, *ʕl*, *ʕnn*, *ʕrʕ* და *qm*, მათ შეესატყვისება შემდეგი მნიშვნელობები: *‘ძვალი, მთავარი ძვალი’, ‘ნეკნი’, ‘კბილი’, ‘ძირითადი, (არასარძევე) კბილი’* და *‘რქა’*, სახელდობრ, პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს საერთოსემიტური ძირები შემდეგი მნიშვნელობებით: სემიტ. *tm* *‘ძვალი; მთავარი ძვალი’, ʕl* *‘ნეკნი’, ʕnn* *‘კბილი’, ʕrʕ* *‘ძირითადი (არასარძევე) კბილი’* და *qm* *‘რქა’*. რაც შეეხება საერთოსემიტურ ძირს *tny*, იგი პროტოსემიტურ დონეზე აღდგება მნიშვნელობით *“ორი; მეორე”*, ხოლო ჩრდილო და სამხრეთარაბულ ენებში განვითარებული მნიშვნელობა *‘წინა წყვილი, მჭრელი გაორმაგებული კბილი’* იკვეთება როგორც მეორეული, ძირის ძირითადი მნიშვნელობიდან განვითარებული. იგი სემანტიკურად მოტივირებული, ასოციაციური ლექსემების მაგალითად უნდა განვიხილოთ.

ბ. არამყარი ანუ დრეკადი ძვლოვანი წარმონაქმნების თემატური ჯგუფის აღნიშვნა დასტურდება პროტოსემიტურ დონეზე რეკონსტრუირებულ შემდეგ ძირებში: *tpr*, *ʕb* და *ʕr*. სახელდობრ, პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს საერთოსემიტური ძირები შემდეგი მნიშვნელობებით: *tpr* *‘ფრჩხილი; ბრჭყალო’, ʕb* *‘ნერვი, ძარღვი, მყესი’* და *ʕr* *‘თმა, ბეწვი, ბალანი; თმიანი საფარველი’*.

**Marina Meparishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## THE DENOTATION OF THE HARD AND FLEXIBLE CONNECTIVE TISSUES IN SEMITIC LANGUAGES

1. The paper presents some results of a study related to the analysis of one of the lexical-semantic groups in Semitic languages. In general, comparative analysis of semantic fields and lexical groups in different languages is an important problem of contemporary linguistic studies both from the viewpoint of comparative and typological linguistics. Of particular interest to us was the thematic sub-division of lexical units denoting different hard or flexible connective tissues, particularly, bones and bone formations, which belongs to a hierarchically broader lexical-semantic group of body parts. The aim of the study was to reveal and identify the roots, which were characterized by wide distribution and correct regular phonetic correspondences, as a result, it would be possible to reconstruct them at the Proto-Semitic level with the meanings associated with the lexical-semantic group under consideration, that is - bone and bone formations as different hard and flexible connective tissues.

2. Summing up all the facts discussed in the paper, we may conclude that:

a. Following roots: 'tm, ʕl', šnn, ʕrš and qrn denote meaning of different kinds of bones – that is hard connective tissues. They might be regarded as roots of Common Semitic origin, expressing the following meanings: *bone* (abstract meaning), *rib* (concrete meaning), *tooth* (abstract meaning), *molar tooth* (concrete meaning) and *horn*. The roots exist in various groups and branches of Semitic language family, so, they could be reconstructed in Proto-Semitic in the following way: 'tm with a meaning 'bone; main bone'; ʕl' with a meaning of 'rib'; šnn with a meaning of 'tooth'; ʕrš with a meaning of 'molar tooth' and qrn with a meaning of 'horn'.

As for the root tny, of course, it is Common Semitic, but it means 'two; second'. The meaning 'incisor tooth' is the rather-developed one within the South-Semitic group from the main meaning.

b. The roots: tpr, 'ḵb and š'r denote meaning of different kinds of flexible cartilaginous connective tissues, they might be regarded as roots of Common Semitic origin, expressing the following meanings: 'Nail (fingernail, toenail); claw', 'sinew, nerve' and 'hair, wool'. In particular: the roots could be reconstructed in Proto-Semitic in the following way: tpr with a meaning of 'Nail (fingernail, toenail); claw'; 'ḵb with a meaning of 'Sinew, nerve' and š'r with a meaning of 'Hair, wool'.

## თამარ მოსიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### რუზ ალ-იუსუფი - ეგვიპტის თეატრისა და პრესის ვარსკვლავი

მსახიობმა რუზ (როუზ) ალ-იუსუფმა (იგივე ფატიმა ალ-იუსუფმა), რომელსაც მეტსახელად „აღმოსავლეთის სარა ბერნარს“ ეძახდნენ, მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ეგვიპტის პრესის ისტორიაში. ალ-აზბაქიას (الأسبوعية) და იმად ად-დინის (إمامة عمارة) ქუჩის თეატრებში მრავალი ეგვიპტელი ვარსკვლავის სახელი ბრწყინავდა, მაგრამ ეგვიპტურ თუ საერთოდ არაბულ პრესაში რუზ ალ-იუსუფი ყველაზე ცნობილი ქალის სახელად იქცა. როგორც სამირ ატა ალ-ლაჰი აღნიშნავს, ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ რუზ ალ-იუსუფი ყველაზე გამოცდილი ჟურნალისტი გახლდათ, ისეთივე პროფესიონალი, როგორც მსახიობი იყო, არამედ იმიტომ რომ იმ პერიოდში, ოქროს ხანაში, ის ყველაზე მამაცი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც გაზედა და პარტია ვაფდს დაუპირისპირდა მაშინ, როდესაც პარტია დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა.

ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება ჰქონდა ლიბანენ ობოლ გოგონას ფატიმა ალ-იუსუფს (ფატიმა მუჰი ად-დინ იუსუფი /فاطمه محيى الدين يوسف), რომელიც მოგვიანებით რუზ ალ-იუსუფის სახელით გახდა ცნობილი. ალექსანდრიის ქუჩებში მარტო დარჩენილი გოგონა მსახიობმა აზიზ აიდმა იპოვა და სწორედ ის შეუძღვა ფატიმას ხელოვნების სამყაროში. ის სცენაზე 14 წლის ასაკში გამოჩნდა. თავდაპირველად მცირე როლები ჰქონდა, ვიდრე შესაძლებლობა არ მიეცა, მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. შემდეგ კი კაიროს ცნობილ თეატრალურ დასებს შეუერთდა და ლიბანელი ობოლი ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარი მსახიობი ქალი გახდა.

მიუხედავად ასეთი წარმატებული თეატრალური კარიერისა, რუზმა გადაწყვიტა თეატრი და სამსახიობო კარიერა მიეტოვებინა. მან გადაწყვიტა, ძალები პრესაში მოესინჯა და ჟურნალის გამოცემა დაიწყო, რომელსაც თავისივე სამსახიობო სახელი რუზ ალ-იუსუფი უწოდა. ამ ახალმა სფერომ კიდევ უფრო მეტი პოპულარობა მოუტანა. ჟურნალის პირველი ნომერი 1925 წლის 26 ოქტომბერს გამოვიდა. „რუზ ალ-იუსუფი“ თავდაპირველად ყოველკვირეული პოპულარული ჟურნალი იყო, მაგრამ მალე პოლიტიკურ თემებზე გადაერთო და დაახლოებით 1928 წლისთვის პოლიტიკურ ჟურნალად იქცა.

ფატიმა ალ-იუსუფმა ბევრი ცნობილი სახე და პროფესიონალი შემოიკრიბა თავისი ჟურნალის ირგვლივ, რომელმაც მალე დიდ წარმატებას მიაღწია, ეგვიპტეში ფართოდ გავრცელდა და იმ პერიოდის ისეთ მნიშვნელოვან გაზეთებსაც კი ეპაექრებოდა, როგორც გაზეთი ალ-აჰრამი იყო. წარმატების გზაზე რუზ ალ-იუსუფს ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეხვდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი ვაფდის პარტიასთან დაპირისპირება იყო. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რუზ ალ-იუსუფმა შეძლო იმავე სახელწოდების ყოველდღიური გაზეთის და კიდევ რამდენიმე სხვა პერიოდული გამოცემის

ბეჭდვაც დაეწყო, სადაც არ ერიდებოდა ხელისუფლების კრიტიკას და კარიკატურული ილუსტრაციების გამოყენებით ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობდა. მისი გარდაცვალების შემდეგაც წარმატებით გამოდიოდა მისი ჟურნალ-გაზეთები. 1960 წელს რუზ ალ-იუსუფის გამომცემლობა სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა. გამომცემლობა დღემდე წარმატებით მუშაობს და საინფორმაციო პორტალზე [rosaelyoussef.com](http://rosaelyoussef.com) თავმოყრია ყველა ჟურნალი და გაზეთი.

**Tamar Mosiashvili**

*Ilia State University,*

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## RUZ AL-YUSUF - A STAR OF EGYPTIAN THEATER AND PRESS

Actress Ruz (Rose) Al-Yusuf (same as Fatima Al-Yusuf), nicknamed “Sarah Bernard of the East” left a significant mark in the history of the Egyptian press. The names of many Egyptian stars shone in the theaters of Al-Azbakiya (التيكبال) and Imad Ad-Din street (التيكبال), but Ruz Al-Yusuf became the most famous woman in the Egyptian or Arab press. As Samir Atallah points out, this was not because Ruz Al-Yusuf was the most experienced journalist, but because she was the bravest woman in that period. The reason for such popularity was that she opposed the Wafd party, while it was at the peak of its glory.

Fatima Al-Yusuf (Fatima Muhi ad-Din Yusuf / فاطمة محي الدين يوسف), who became known as Ruz Al-Yusuf had a very interesting and diverse life. The little girl, who was left alone in the streets of Alexandria, was found by actor Aziz Eid and it was him who guided Fatima into the world of arts. Fatima appeared on stage at the age of 14. Initially she had small roles before she was given the opportunity to play an important role. Later Fatima joined the famous Cairo theater troupes and the Lebanese orphan became one of the most popular actresses in Egypt.

Despite such a successful theatrical career, Ruz decided to leave the theater. She decided to test her strength in the press and started publishing a magazine and called it her own acting name - *Ruz al-Yusuf*. This new field brought her even more popularity. The first issue of the magazine was published on October 26, 1925. Ruz al-Yusuf was



originally a popular weekly magazine, but soon it switched to politics and by 1928 had become a political magazine.

Fatima Al-Yusuf gathered many celebrities and professionals around her magazine. The magazine soon became a huge success, spreading widely in Egypt and even competing such important newspapers of that period as Al-Ahram. On the road to success Ruz Al-Yusuf faced many difficulties and obstacles, the most difficult of which was confrontation with the Wafd party. Despite many difficulties, Ruz al-Yusuf was able to start printing the daily newspaper of the same name and several other periodicals, where she was criticizing the government and discussing many important issues using cartoon illustrations. Even after her death, her magazines and newspapers were published successfully. In 1960 the Ruz Al-Yusuf publishing house became state-owned, although it retained some of its original character. The publishing house is still working successfully and is accessible at the news portal [rosaelyoussef.com](http://rosaelyoussef.com).

## ირინე ნაჭყებია, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნაპოლეონისადმი მიძღვნილი სპარსული ყასიდის ავტორობის შესახებ

პარიზის ენებისა და ცივილიზაციის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სპარსული ხელნაწერების კატალოგში შიფრით Ms. pers. 136, 44-ე ნომრით დაცულია ხელმოუწერელი და დაუთარიღებელი ხელნაწერი, სათაურით „სპარსული ყასიდა 19 ბეითი ნაპოლეონის სადიდებლად“ (Qasida persan 19 bayts à la gloire de Napoléon). სათაურის მიხედვით ყასიდა ნაპოლეონის ხოტბას გულისხმობს, მაგრამ ცხრამეტივე ბეითიდან ნათლად ჩანს, რომ ის თანაბრად ეხება როგორც ნაპოლეონს, ისე ირანის შაჰს – ფათჰ-ალის. ორივე მონარქი წარმოდგენილია ბრწყინვალე, სამართლიან და ღვთიური შარავანდედით მოსილ პირად.

Qasida persan სპარსული პოეზიისათვის დამახასიათებელი მაღალფარდოვანი ენითაა დაწერილი, სავსეა მეტაფორებით, რაც მის მთავარ ორნამენტს წარმოადგენს და ამასთან ხაზს უსვამს მისი ავტორის მიერ სპარსული და ზოგადად მუსლიმური ლიტერატურის კარგ ცოდნას.

ვის შეეძლო დაეწერა ეს ყასიდა, რომელიც თანაბრად ეძღვნება ნაპოლეონს და ფათჰ-ალი შაჰს?

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1807 წლით დატარიღებული ხელნაწერი – Tableau général de la Perse moderne. მას ხელს აწერს ახლო აღმოსავლეთში XVIII საუკუნეში დამკვიდრებული რუსოთა ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენელი, ფრანგი დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე, ჟოზეფ რუსო. ამ თხზულების დაიწერა განპირობებული იყო ნაპოლეონის სურვილით, რათა ინდოეთის ექსპედიციის კონტექსტში სრული ინფორმაცია ჰქონოდა სპარსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ამ ხელნაწერიდან გამოვყოფთ რუსოს ოდას სათაურით Traduction de l’Ode Persane en l’honneur de S. M. Napoléon Ier Empereur des française ? et Roi d’Italie („სპარსული ოდის თარგმანი მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორისა და იტალიის მეფის ნაპოლეონის პატივსაცემად“). „ოდა“ დაწერილია არაბულ-სპარსული ლიტერატურის ლირიკის ჟანრის, ყასიდას, მიხედვით და დასავლურ-აღმოსავლური კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებების სინთეზის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. Tableau-ში ჟოზეფ რუსო სპარსული პოეზიის თემასაც შეეხო. მისი თქმით, პოეზია ყოველთვის იყო სპარსელთა მშვენება და ევროპელებთან შედარებით, მათი უპირატესობა სპარსულ ენაში არსებული მეტად უხვი და მოქარგული გამოთქმები იყო. ამიტომ, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ Qasida persan-ს ავტორი აგრეთვე ჟოზეფ რუსო იყო, რომელმაც ის ნაპოლეონის ტახტზე ასვლამდე დაწერა.

**Irène Natchkebia, Nikoloz Nakhutsrishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,*

*Ilia State University*

## ON THE AUTHORSHIP OF THE PERSIAN QASID DEDICATED TO NAPOLEON


In the present paper we focused on the Qasida persan 19 bayts à la gloire de Napoléon (Persian qasida, nineteen bayts to the glory of Napoléon). This manuscript is kept in the catalog of Persian and Turkish manuscripts at the University Library of Languages and Civilizations in Paris. It is not signed and dated. According to the title, Qasida refers to Napoleon's praise, but it is clear from all nineteen bayts, that it refers equally to both Napoleon and the Shah of Iran – Fath-Ali. In these nineteen bayts both of the monarchs are represented as “magnificent and noble sovereigns”, “impartial judges”, “having divine nature”. The Qasida persan is written in the high-pitched language characteristic of Persian poetry, full of metaphors, which is its main ornament, and at the same time emphasizes its author's good knowledge of Persian and Muslim literature in general. Who could write the Qasida persan which is equally dedicated to Napoleon and Fath Ali Shah? In the archives of the Ministry of Foreign Affairs of France is kept a manuscript entitled – *Tableau général de la Perse moderne*. The document is dated 1807 and is signed by Joseph Rousseau, a French diplomat and orientalist from the third generation of the Rousseau family, established in the Middle East in the 18th century. *Tableau* was written in accordance with Napoleon's desire to obtain complete information about the situation of modern Persia in the context of Indian expedition. From this manuscript we distinguish Rousseau's ode with the title *Traduction de l'Ode Persane en l'honneur de S. M. Napoléon Ier Empereur des française? et Roi d'Italie* (Translation of the Persian Ode in Honor of His Majesty Napoleon I Emperor of French and King of Italy), "Ode" is written according to the lyric genre of Persian-Arabic literature, Qasida, and consists of two parts. The “Ode” is one of the first examples of West-East classical literature junction. In *Tableau*, Joseph Rousseau also touched on the topic of Persian poetry. He notes that poetry always was the beauty of the Persians' nation and Persians were always respecting it. Their advantages, compared with the Europeans in this field, are abundant in metaphoric and figurative expressions in their language. So, we suggest that the author of Qasida persan was also Joseph Rousseau, and he wrote it before Napoleon ascended the throne.

## THE DYNAMICS OF THE AMIRS CORPUS IN EARLY BAHRITE EGYPT IN 1252-1300 AD

The present paper deals with the dynamics of the amirs corpus in the Mamluk State of Egypt in 1252-1300 AD (678-699 AH), namely from Maluks' final ascent to power to the second ascent to power of al-Nasir Muhammad and the results of the second battle at Homs (December, 22, 1299).

In 1250-1279 AD, i.e. before the sultanate of al-Mansur Qalawun, 'Zubda(t) al-Fikra(t)...' mentions the names of 134 amirs of Mamluk origin. For the whole period of 1250-1300 AD the total number of mentioned names is 269 amirs<sup>1</sup>, i.e. 135 amirs are mentioned during the shorter period of 1279-1300 AD.

Thus, even the primary computing confirms the previously identified trend of increasing in number of amirs, both because of new arriving troops and maliks' desire to raise up the status of their own mamluks as amirs. In medium and long-perspective these factors contributed to the growth of imbalances in the administrative system and in relations between maliks and amirs.



The following conclusions can be made:

During the period 1252-1300 AD there was a significant growth in the number of the amirs corpus in the Mamluk state in Egypt. This trend had become apparent before al-Mansur Qalawun's ascent to power and only strengthened during the reign of the first

---

<sup>1</sup> Baybars al-Mansuri al-Nasiri is not included into this number, since his detailed biography would affect the analysis results significantly.

Qalawunids. Correspondently, there was further growth in the imbalances identified in the first part: the pace of territorial expansion could not cover the pace of the growth in amirs number, the conflicts between 'old' and 'new' amirs, as well as between various amirs groups escalated,

In 1252-1300 AD the significant evolution of the institution of 'amir' itself was occurring. While on the initial stage of the Mamluk state development the amirs enjoyed a special status, which limited the maliks' capacities to punish them, this status is gradually disappearing during the reign of the first Qalawunids, amirs are becoming to a larger extent the objects of the sultans' will. On the other hand, the amirs' influence on the political and social processes is growing up, a strong dependence of a ruler on the support from various Mamluk groups is developing. The rulers faced a problem and complexity to establish a more or less loyal to them core of amirs, who would be connected to them with strong personal relations, including the mutual past. The process of evolution of the institution 'amir' was related closely to the evolution of the institution of 'malik'.

The mathematically identified politically significant corpus of 'important amirs' could not become such a core, since it included the amirs of various origin. Such situation only confirms the presence of deep and insuperable foundations, creating internal conflicts in the Mamluk state.

**Yaroslav V. Pylypchuk**

Dragomanov National Pedagogical University,  
Kiev, Ukraine

## **ARMENIAN HISTORIOGRAPHY OF THE MIDDLE AGES**

This article is devoted to the Armenian medieval historiography. The history of Armenian medieval literature can be divided into three periods. The first dates back to the 2-8th centuries, the second to the 9th-11th centuries, the third to the 12th-17th centuries. The first chronicler of Armenia was Olump, who did not yet write in Armenian, but in other languages. The very first historical work in Armenian was Koryun's "Life of Mesrop Mashtots". The ethnicity of Koryun himself raises questions. Koryun's work belongs to the genre of hagiographic literature. Actually, the first Armenian chronicle in the Armenian language was "The History of the Conversion of Armenians to Christianity" by Agatangelos. "The History of Armenia" by Movses Khorenatsi was written much later than the middle of the 5th century. Armenian historians of the 5th-6th centuries were far from such a panoramic vision of the history inherent in Movses Khorenatsi. The first work similar in genre to the Chronicle of Movses Khorenatsi was "History of Armenia" by Hovhannes Drasnakhkerttsi. For Movses Khorenatsi, the assertion about the autochthonousness and exceptional antiquity of the Armenians is characteristic. The claims to the lands of the Georgians and Caucasian Albanians are clearly formulated. Most likely, the "History of Armenia" by Movses Khorenatsi was already written in the Bagratid times and was intended to justify the great-power intentions of the Armenian kings. If we take the Armenian chronicles of Yeghishe, Lazar Parpetsi, Favst Buzand, Sebeos, Ghevond, then they reflect only certain aspects of the history of Armenia of certain periods. Movses Khorenatsi most likely lived at the beginning of the history of Bagratid Armenia. After him, Hovhannes Drasnakhkerttsi was supposed to create, who described the history of the first Bagratuni. As for Movses Kagankvatsi, he belongs not to Armenian, but to Albanian literature, like Movses Daskhurantsi, although they wrote in grabar. Tovma Artsruni is the historian of the Vaspurakan Armenian kingdom. All-Armenian Bagratid chroniclers later on Ovasnes Drasnakhkerttsi were Stepanos Taronetsi and Aristakes Lastivertsi. The liquidation of the Armenian statehood for some time caused the crisis of the Armenian chronicle. The chronography of Matteos Urhaetsi was created in the diaspora in Edessa, like the chronicles of Grigor Kesuntsi, Stepanos Sebastatsi. The first significant written monuments of the Cilician Armenian Kingdom can be dated back to the 13th century. The great chroniclers of this period were Vardan Areveltsi, Kirakos Gandzaketsi, Grigor Aknertsi, Smbat Sparapet. The apogee of the development of historical thought among the Cilician Armenians was the "Flower Garden of the History of the East". As for the Armenian historiography in the indigenous Armenian lands, its representatives were Stepanos Orbeliani, Mkhitar Gosh, Samuel Anetsi. Few were able to rise above the local level. In particular, they were Mkhitar Ayrivanetsi and Tovma Metsopetsi. After the

invasions of Timur and his successors into the Caucasus, Armenian historiography experienced another crisis, which was aggravated by the fall of the Cilician Armenian Kingdom. Armenian narratives of the 16th-17th centuries mainly covered the description of short periods. Only the chronicles of Andreas Evdokatsi, Grigor Daraganetsi, Arakel Davrizhetsi, Vardan Bagishetsi can be called grand narratives. Historical works were also published by Diaspora Armenians, such as Khachatur Kafaetsi, Simon Lehatsi, Hovhannes Kamenatsi.

## ნათელა ჟვანია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შეთანხმება ძველ ეთიოპურში

1. შეთანხმება ძველ ეთიოპურში განსხვავებით სხვა სემიტური ენებისგან ცვალებადია.
2. შეთანხმება წარმოადგენს სამ მოდელს: შეთანხმება რომელიც არსებობს არსებით სახელსა და მის განმსაზღვრელ ზედსართავს შორის სქესში; არსებით სახელსა და განმსაზღვრელ ზედსართავს შორის; არსებითი სახელით გამოხატულ ქვემდებარესა და მის ზმნას შორის.
3. შეთანხმება რიცხვში იგივეა, რას სქესში.
4. კრებით არსებით სახელებთან ზედსართავები იხმარება მრავლობითში.
5. მხოლოდ არსებით სახელებს, რომელნიც ადამიანებს გამოხატავენ, რეგულარულად აქვთ ზმნური და ზედსართავი შეთანხმება მრავლობითში.

## Natela Zhvania

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### AGREEMENT IN OLD ETHIOPIC

1. Unlike other Semitic languages Ethiopic is variable in denoting agreement between adjectives and nouns in gender and number.
2. Agreement in old Ethiopic represents three models: the agreement that exists between a noun and a modifying adjective in gender; between a noun and a modifying adjective; between a noun subject and its verb.
3. Agreement in number is similar to that of gender.
4. With collective nouns adjectives are used in plural.
5. Only nouns denoting human beings regularly have verbal and adjectival agreement in plural.



## გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### ირანი და „შიიტური ნახევარმთვარე“ - მითი თუ რეალობა?

ირანის რევოლუციის შედეგებმა რადიკალურად შეცვალა ძალთა ბალანსი რეგიონში. ნათელია, რომ ისლამური ირანის საგარეო პოლიტიკის პრინციპები სრულიად განსხვავებული უნდა ყოფილიყო მონარქიული ირანისგან, მაგრამ არა ინტერესები. თუმცა, ახლო აღმოსავლეთში მიმდებარე რეგიონებში ისლამური რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ განსხვავებულ რეალობაში, ამ 'მარადიული' ინტერესების განხორციელება ბევრად უფრო რთული გახდა.

ხშირად ხაზი გაესმევა, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკა არის ქვეყანა, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური სისტემა, ისე როგორც საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ისლამურ და შიიტურ (აიათოლა ხომეინის მიერ ინტერპრეტირებულ) მოძღვრებებზე აქვს დაფუძნებული. ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, თეორიული თვალსაზრისით, არსებითად იდეალისტურია.

21-ე საუკუნეში ირანის ჩართულობამ ერაყსა და სირიაში მიმდინარე პროცესებში თითქოსდა გაამყარა ნარატივი „შიიტური ნახევარმთვარის“ არსებობის შესახებ - ეს ტერმინი გამოიყენა იორდანიის მეფე აბდულამ 2005 წელს რელიგიური შეფერილობის მქონე 'წინააღმდეგობის ღერძის' დასახასიათებლად. „შიიტური პოლიტიკის“, როგორც 'სუნიტურ პოლიტიკასთან' დაპირისპირებულის კონცეფციები ფართო გამოიყენება პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების მიერ.

მოხსენებაში განხილულია თუ რამდენად შეესაბამება რეალობას „შიიტური ნახევარმთვარის“ კონფეცია. შიიტთა მნიშვნელოვანი თემებია ერაყში (დაახლ. 60%), ქუვეითში (20-25%), ლიბანში (თითქმის 50%), ბაჰრეინში (65-70%), იემენში (35-40%). შიიტური აქტივობის ქვეყნებად ასევე მიიჩნევენ სირიას. თითქოსდა, ამგვარი შთამბეჭდავი რიცხვი „შიიტური ნახევარმთვარის“ არსებობის დასტურია. მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ არის. ქუვეითი და ბაჰრეინი პატარა ქვეყნებია და მათი წონა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში უმნიშვნელოა. სირიაში ერთ-ერთი შიიტური მიმდინარეობის წარმომადგენლები - ალავიტები შეადგენენ მოსახლეობის დაახლ. 15%-ს და დღეს ისინი არიან ხელისუფლების სათავეში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ალავიზმი უკიდურესად დაშორებულია ორთოდოქსულ შიიზმს და როგორც სუნიტური, ისე შიიტური თვალახედვიდან, უბრალოდ მწვალებლობაა. გარდა ამისა, მმართველი პარტია ბაასი (არაბული სოციალისტური პარტია) სეკულარული პარტიაა და ამ შემთხვევაში მართლაც რთულია შიიტურ სოლიდარობაზე ლაპარაკი. იგივე შეიძლება ითქვას იემენის შესახებ - აქაური შიიტები ზაიდუზმის მიმდევრები არიან, ეს მიმდინარეობა ასევე დიდად არის დაშორებული ორთოდოქსული შიიზმისგან (მეტეც - ახლოს დგას სუნიზმთან). ამგვარად, „შიიტური ნახევარმთვარის“ კონცეფცია დიდწილად 'გამოგონილი იდეოლოგიური საფრთხობელაა', ვიდრე რეალობა.

ირანის საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგია სწორედაც პრაგმატული მიზნებისთვის გამოიყენება და თითქოსდა იდეოლოგიით მოტივირებული ქმედებები (ამ შემთხვევაში უპირველესად შიიტური სოლიდარობა) მხოლოდ დეკლარატიული ხასიათისაა და მოწოდებულია წმინდა პრაგმატული (ექსპანსიონისტური) პოლიტიკის შესანიღბად.

**George Sanikidze**

*Ilia State University,*

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

### THE 'SHI'A CRESCENT' – MYTH OR REALITY?

The results of the Islamic revolution radically changed balance of forces in the Middle Eastern region. From the strategic ally of the US Iran is transformed to its dangerous rival. It is evident, that the principles of the new republic should have been completely different from the Monarchical Iran but not the interests. Geopolitical factor in this case can be considered as non-variable. At the same time, in the new realities created after the Islamic revolution in the Middle East and the adjacent regions, realization of these 'eternal' interests became much more problematic.

Iranian foreign policy is of particular interest because it demonstrates a contradictory combination of pragmatic Realpolitik policies and strictly ideological approaches. In the paper is argued that 'realist' elements of Iranian policy are much more noticeable and influential, even in the Muslim neighboring countries. Iran, of course try to use Shi'a military groups and political forces in the Middle Eastern countries but some of them can be hardly considered as 'Shia' and compatible with the ideology of the Islamic republic.

Today the concept of 'the Shi'a crescent' became quite popular among experts of the Middle East and politicians. This term was used for the first time by Jordan's King Abdullah II in 2004 who warned that Iran's aim is to establish a massive Shia "crescent" that would spread from Iran through Iraq, Syria, and Lebanon and beyond. This geographic bloc of like-minded polities would challenge the status quo of pro-Western Sunni dominance in the Middle East.

In the paper is demonstrated that the concept of "Shi'a crescent" is more 'imagined ideological scarecrow' than the reality. It is true that except Iran, large communities of Shi'as are in Iraq (approx. 60% of the population), Kuwait (0-25%), Lebanon (approx. 50% of the population) Bahrein (approx. 65-70%), Yemen (approx. 35-40%). As though, these impressive figures prove the existence of 'Shi'a crescent' but in reality, the situation is much more complex: Kuwait and Bahrein are small countries and their impact in the politics of the Middle East is very limited. Concerning Syria, the ruling force, one of the branches of Shi'as – Alevites represent around 15% of the population but Alevism is

extremely distanced from the 'orthodox' Shi'ism (i.e. official ideology of the Islamic republic) and as Sunni, as well as Shi'a point of view Alevites are apostates. Besides, the ruling Ba'ath party (Arab socialist party) is secular party in in this sense is difficult to speak about 'Shi'a solidarity' between Iran and Syria. The same can be said about Zaydis of Yemen – Zaydi version of Shi'ism is also alienated from Iranian Shi'ism and Even in Iraq, where Iranian influence is obvious on the Shi'a government, contradictions between two countries are still significant. Only one project – the creation of the 'Hezbollah' in Lebanon (in the frame of the 'export of the Islamic revolution') is successful for Iran but this can't be considered as a confirmation of the existence of 'Sia crescent'.

## მაია სახოკია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სპარსული ენის ისტორიული ტექსტები (სეფიანთა ხანა) და სპარსული ენის გრამატიკული პერიოდიზაცია

სპარსული ენის გრამატიკის, – მორფოსინტაქსისა და სინტაქსის დიაქრონიულ-ტიპოლოგიური კვლევების შედეგად გამოიყოფა ერთის მხრივ სინტაქსის ზოგადი საკითხები, მეორეს მხრივ მორფოსინტაქსის ძირითად შემადგენელთა ბლოგები მათ დინამიკაში. ასეთი კვლევები ჯამურად ემსახურება თეორიული სინტაქსისა და ისტორიული (დიაქრონიული) მორფოსინტაქსის სისტემატური კურსის ან კომპენდიუმის შექმნასაც. ახალსპარსული ენის დიაქრონიული ჭრილის მორფოსინტაქსური და სინტაქსური საკითხების კვლევა-შესწავლა ენის ისტორიის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანის საამისოდ ყველა ძეგლ-წყაროთა მონაცემებისა და ეპოქალურ პერიოდთა გრამატიკულ-სტილურ სტანდარტთა შესწავლა. მოცემულ ნარკვევში ლაპარაკია სეფიანთა ხანის ისტორიულ ტექსტებზე.

აქ ვსაუბრობთ მხოლოდ ახალსპარსულზე, რომელიც ზოგადად, საყოველთაოდ ცნობილი დიდი დანაყოფების მიხედვით, შედგება ორი ერთეულისგან: კლასიკური ახალსპარსულ (X-XVIII სს.) და თანამედროვე ახალსპარსული (XIX ს.-დან დღემდე). უეჭველია და სხვადასხვა ფუნდამენტური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ კლასიკური ახალსპარსულის გრძელი ხანა თავის მხრივ საჭიროებს ქვეპერიოდიზაციას ანუ ბუნებრივ დაყოფას ქვეპერიოდებად. ამის ნათელი დადასტურებაა ჟ. ლაზარისეული “სპარსულის უძველეს ძეგლთა ენის” ცალკე გამოყოფა და ამ ენის გრამატიკული ანალიზი: იგულისხმება კახსპ-ს საწყისი ქვეპერიოდი – X-XII (< XIII) სს.

ასეთი პერიოდები და ქვეპერიოდები ჩვენ შემთხვევაში დგინდება სინტაქსური წესებისა და მორფოსინტაქსური შემადგენლების განზოგადოებული, ერთიანი გათვალისწინება-შეფასებით და იმავდროულად, ცალკეულ მონაცემთა (ბლოგთა, ელემენტთა) დროში დინამიკურ ცვლილებათა აღნუსხვისა და მხედველობაში მიღებითაც. მნიშვნელობა აქვს არა ოდენ ზოგად წესებს (როგორცაა, მაგალითად, სტანდარტული სიტყვათგანლაგება, სიტყვათა რიგის ნორმა თუ ტენდენცია), არამედ ბევრ ცალკეულ მორფოსინტაქსურ ელემენტსაც

მოცემულ ნაშრომში საქმე ეხება ოდენ კლასიკური ახალსპარსულის ქვეპერიოდიზაციას. ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში მივიღეთ შემდეგი პერიოდიზაცია: ადრეული კლასიკური ახალსპარსული (კახსპ) X-XIII სს.– იგივე ჟ. ლაზარისეული “უძველესი სპარსული ძეგლების ენა” და გვიანი კლასიკური ახალსპარსული (გკახსპ) – XIUI- XVII; XVIII სს.; გარდამავალი პერიოდი (კახსპ>თახსპ) – XIX ს.; თანამედროვე ახალსპარსული (თახსპ) – XX-XXI სს.

კერძოდ, სეფიანთა ხანის საისტორიო ტექსტების შესწავლამ გამოავლინა რიგი მორფოსინტაქსური დამახასიათებელი ნიშანი, რაც ქმნის გარკვეულ გრამატიკულ

სტილს. ყველა ცალკეული მორფოსინტაქსური ბლოგი, ისევე როგორც სიტყვათა რიგის ზოგადი სტანდარტული წესები, გვიჩვენებს მნიშვნელოვან დონეებს იმ სახეცვლილებათა მიმართულებებისა და წესებისა, რაც შესამჩნევია საერთო დინამიკაში: კახსკ>თახსკ, - კომპენდიუმის კორპუსისთვის.

**Maia Sakhokia**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Iliia State University*

### **PERSIAN HISTORICAL MONUMENTS (SAFAVID ERA) – GRAMMATICAL PERIODIZATION OF PERSIAN LANGUAGE**

The Linguistic Data (Morphosyntax, Syntax) of Persian Historical Monuments (prose) generally is are very important and relevant to show diachronic-typological grammatical changes. E. d. it is represented here on the basis mainly of the analysis of Safavid Era's Texts. The linguistic data of Safavid Era's Persian Language seems especially important to detailization of certain periods of Common Classical New Persian Language (CINP). According to Diachronic Morphosyntactic and Syntactic Dynamics the main different periods of CINP may be revealed: I p. X-XII/XIII cent. (the same that G. Lazard's Oldest Period), II p. XIII-XV cent., III p. XVI-XVII cent.; IV p. XVIII c. (Sakhokia's pp.). These periods are detailized on the basis of systematization of Principal Constituents of Persian Morphosyntax, Standard and Peculiar Syntax (Sakhokia). Such linguistic data of different historical texts, documents of Safavi (Safavid) Era (XVI-XVII cent. - the third period of CINP), will be discussed and observed here as Constituents of one Compendium of Historical Morphosyntax and Syntax of the Persian Language. I'd like the represent just now the several data of Morphosyntax and Syntax to discuss the corresponding questions in the sources mentioned below. The questions observed, shortly are the following: peculiar (special) and standard constructions and rules, among them word order is of great importance. The main tendency of CINP Word Order Dynamics [and than→to Modern NP] is 'Free>Fixed' by main model formula: SOP. For all these morhposyntactic/syntactic features some specifications of Safavid Era Grammar Style may be represented.

## თამთა ფარულავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### თავისუფალი ლექსის გაგებისათვის

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ირანში განსაკუთრებით იზრდება საზოგადოების პოლიტიკური თუ სოციალურ-კულტურული ურთიერთობა დანარჩენ მსოფლიოსთან, ევროპიდან აღწევს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახლადჩამოყალიბებული ესთეტიკური პრინციპები. ახალი პოეზია, ე.წ. „შე'რე ნოუ“ ( *še'r-e now* ), რომლის ფუძემდებლადაც ნიმა იუშჯი (Nima Yushij) მიიჩნევა, ნოვაციას ლექსწყობის, ენის, მხატვრული სახეებისა და პოეტური სათქმელის თვალსაზრისით. იმავდროულად, ახალი პოეზია მრავალსაუკუნოვანი სპარსული კლასიკური ლექსის უშუალო მემკვიდრეა. მოხსენება ნიმა იუშჯის რამდენიმე ლექსის ანალიზის, სახე-სიმბოლოთა სიღრმისა და მრავალფეროვნების გააზრების ცდაა. გამოკვეთილია პოეტის მხატვრული აზროვნების მოდერნისტული თავისებურებები.

## Tamta Parulava

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### ON UNDERSTANDING OF THE FREE VERSE

From early twentieth century, in Iran, growth of political and sociocultural relations of the society with the outer world commenced. Newly formed esthetic principles in the literature and art in the Europe have penetrated into Iran. New poetry, so called “*še'r-e now*”, the founder of which was Nima Yushij, was regarded as innovation, with respect of versification, language, artistic images and poetic expression. At the same time, the new poetry was the direct heir of centuries-old classical Persian poetry. This presentation is the attempt of analysis, understanding of depth and diversity of several verses by Nima Yushij. Emphasis is made on the modernist characteristics of the poet's creative thought.

## ირაკლი ფალავა

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სირმა მონეტების განძი ბოლნისის მიდამოებიდან

ნაშრომში წარმოვადგენთ 2010-იან წლებში ბოლნისის მიდამოებში აღმოჩენილი განძის შესწავლის შედეგებს. განძის აღმოჩენის ზუსტი გარემოებები უცნობია. მპოვნელმა ჩვენების შემდეგ განძი უკანვე გამოგართვა, თუმცა, დაგვრთო ნება - მასში შემავალი მონეტები გადაგველო და აგვეწონა. განძის საერთო წონა შეადგენდა 102.93 გრამს, მასში შედიოდა 35 ვერცხლის მონეტა; ყველა მათგანი წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოს ე.წ. სირმა საფასეს. განძში წარმოდგენილი იყო სირმა ვერცხლის 2 ნომინალი: აბაზი (33 მონეტა, 94.3%) და ნახევარ-აბაზი (2, 5.7%).

ჩვენს მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, ეს სამონეტო კომპლექსი მიეკუთვნება სირმა მონეტების განძების I ჯგუფს (Paghava I. "Sirma Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)"). ანალოგიური განძებია: ლალაქენდის (1897 წ.); გორის უეზდის (1906); ჭიკანის (1927); უპასპორტო 1 (2004); უპასპორტო 2 (2005). ამ ჯგუფის განძები ნაპოვნია ისტორიული ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე; შემადგენლობიდან გამომდინარე, მათი ტეზავრაცია ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიის მიერ ანექსიამდე უნდა მომხდარიყო; ამრიგად, ეს სამონეტო კომპლექსები ასახავს სამონეტო მიმოქცევას უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოში.

მოგვყავს ბოლნისის განძის შემადგენლობა; აბაზიანები: 1183 (გახვრეტილი), 1184, 119x, 1190, 1192, 1193, 1202, 1205, 1206, 1207 (6 ც.), 1208 (2 ც.), 1209, 1211 (15 ც.); ნახევარ-აბაზიანები: თარიღი არ იკითხება, 1206. ყურადღებას იპყრობს ჰ. 1211 წლით დათარიღებული აბაზიანების სიხშირე (აბაზიანების საერთო რაოდენობის 45.5%).

ბოლნისის განძი, ისევე როგორც I ჯგუფის უკლებლივ ყველა სხვა განძი, ექსკლუზიურად სირმა მონეტებისგან შედგება (საერთო რაოდენობის 100%). ეს ფაქტი წარმოაჩენს სირმა ვერცხლის გავრცელებას ქართლ-კახეთში და მონოპოლიურ მდგომარეობას სამეფოს ეკონომიკაში. დოკუმენტური წყაროები ადასტურებს ფინანსურ აღრიცხვაშიც სირმა ვერცხლის თითქმის ექსკლუზიურ პოზიციას. უეჭველია, რომ 1765 წელს სირმების გამოშვების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოში ანგარიშსწორების წამყვან საშუალებას სწორედ სირმა ვერცხლი წარმოადგენდა. დასტურდება, რომ ქართლ-კახეთის სამეფო, პრაქტიკულად, ვერცხლის მონომეტალიზმის სახელმწიფო იყო.

I ჯგუფის უკლებლივ ყველა სხვა განძისგან განსხვავებით, ბოლნისის განძის შემადგენლობაში აბაზის ნომინალის მონეტების ხვედრითი წილი შეადგენს არა 100%-ს, არამედ ნაკლებს, კერძოდ, 94.3%-ს. თუმცა, ეს გამონაკლისიც ადასტურებს ზოგად კანონზომიერებას - უპირატესად აბაზის ნომინალის მონეტების

ტეზავრაციას. ეს ფენომენი ასახავს და პირდაპირ კორელაციაშია ქართლ-კახეთის სამეფოს სამონეტო ბაზრის ზოგად მდგომარეობასთან. ჩვენი აზრით, აბაზს უფრო ინტენსიურად ჭრიდნენ ვიდრე მცირე (და მსხვილ) ნომინალებს; განძების შემადგენლობა შესაბამისობაშია ემპირიულ მონაცემებთან - კერძო თუ სამუხეუმო კოლექციებში სირმა აბაზიანები შეუდარებლად მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი, ვიდრე მსხვილი თუ მცირე ნომინალის სირმა მონეტები. გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მცირე ნომინალის მონეტები უფრო წვრილ ალებ-მიცემობას ემსახურებოდა და, ამრიგად, უპირატესად ქართლ-კახეთის უმსხვილეს ურბანულ ცენტრებში, თბილისში, ასევე, თელავში მიმოიქცეოდა. გასათვალისწინებელია, რომ მათ მძლავრ კონკურენციას უწევდნენ ქართლ-კახეთის სპილენძის მონეტებიც (თანაფარდობა ვერცხლის წვრილ და სპილენძის ნომინალებს შორის: უხალთუნი = 2 შაური = 5 ბისტი = 10 1/2-ბისტი = 20 ფული = 40 1/2-ფული).

ბოლნისის განძი მნიშვნელოვანი პირველწყაროა ქართლ-კახეთის სამეფოს ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად.

## **Irakli Paghava**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Iliia State University*

### **A HOARD OF SIRMA COINS FROM THE VICINITIES OF BOLNISI**

We researched a hoard discovered in the vicinities of Bolnisi in 2010s and present the results by means of this work. Precise circumstances of the find remain unknown. The finder retained the hoard, but allowed us to weigh it and take pictures of the coins. The total weight of the hoard was 102.93 g; it comprised 35 silver coins, all of them constituting the sirma currency of the east-Georgian Kingdom of Kartl-Kakheti (1744-1801). Two denominations were represented: 33 abazis (94.3% of total number) and 2 half-abazis (5.7%).

This deposit pertained to the I group of sirma coin hoards, according to I. Paghava's classification (Paghava I. "Sirma Sirma Coinage of East-Georgian Kingdom of Kartl-K'akheti (1744-1801) and its Role in Regional Monetary Circulation (Preliminary Analysis)"). Analogous hoards: Lalakend (1897); Gori uyezd (1906); Ch'ik'aani (1927); Without find location I (2004); Without find location II (2005). All of them were discovered on the territory of historical Kingdom of Kartl-Kakheti; composition of these hoards proves they were deposited before the Kingdom was annexed by the Russian



Empire. Therefore, these monetary complexes represent the monetary circulation specifically in the Kingdom of Kartl-Kakheti.

The hoard comprised the abazis of AH 1183 (holed), 1184, 119x, 1990, 1192, 1193, 1202, 1205, 1206, 1207 (6 specimens?), 1208 (2 specimens), 1209, 1211 (15 specimens); and half-abazis of 1206 and with the date illegible. The prevalence of the AH 1211 abazis is remarkable (45.5% of total number of abazis).

The Bolnisi hoard like all the other I group hoards comprises exclusively sirma coins (100% of total number). This finding emphasizes the dissemination of the sirma silver coinage within Kartl-Kakheti and its monopolous position in the economy of the Kingdom. Documentary evidence confirms the exclusive role of the sirma coinage in contemporary Georgian financial reporting. Evidently, immediately after being issued for the first time in 1765, the sirma coins became the principal means of exchange in the Kingdom of Kartl-Kakheti. This is yet another evidence supporting the idea the silver monometallism was the rule in this Georgian state.

In contrast to all the other hoards of the I group, abazis constitute less than 100% of the coins in the Bolnisi hoard; more precisely, 94.3%. However, this minor exception proves the rule – hoarding predominantly the abazi but not minor denomination coins. This phenomenon reflects and correlates with the general composition of the monetary market of Kartl-Kakheti. We consider that abazis were minted on a much larger scale as compared to the minor (and major) denominations; the hoard evidence corresponds with empirical data – both private and public collections comprise significantly more abazis than other sirma denominations. We would conjecture that the minor denominations served the petty trade and circulated predominantly in the major urban centers of the Kingdom, primarily in Tiflis (also in Telavi). Moreover, they had to compete with numerous copper coins of the Kingdom of Kartl-Kakheti (the ratio between the minor denominations in silver and copper coin being as follows: uzaltuni = 2 shauri = 5 bisti = 10 ½-bisti = 20 puli = 40 ½-puli).

We consider the Bolnisi hoard to be a significant primary source for studying the economic history of the Kingdom of Kartl-Kakheti.

## თინათინ ქაროსანიძე

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

### „ისლამური სახელმწიფო“ ხორასანში - ახალი გამოწვევა ავღანეთისთვის

2001 წელს ავღანეთში აშშ-ის მიერ დაწყებული ოცწლიანი სამხედრო კამპანია 2021 წლის 1 აგვისტოს დასრულდა. ამერიკის და მოკავშირეების სამხედრო ძალებმა ავღანეთი დატოვეს. ქვეყანაში სულ 600 ჯარისკაცი დარჩა, რომლებსაც აშშ-ის საელჩოს და რამდენიმე სტრატეგიული ობიექტის დაცვა ევალებათ.

ამერიკის და კოალიციის შეიარაღებული ძალების გასვლის ფონზე, თალიბებმა რამდენიმე დღეში ქვეყნის დედაქალაქის და ძირითადი ქალაქების დაკავება და საკუთარი კანონების დამყარება მოახერხეს.

თალიბების ავღანეთის სათავეში მოსვლის პერსპექტივა ქვეყნის მოსახლეობაში შიშს იწვევს, რომელსაც ძალიან კარგად ახსოვს XX საუკუნის 90-იან წლებში თალიბების მმართველობა. შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილმა ქვეყანა უკვე დატოვა, ნაწილი კი ცდილობს თალიბებს წინააღმდეგობა გაუწიოს.

თალიბების ხელისუფლებაში მოსვლა არ არის ერთდერთი საფრთხე, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობა უფრთხის. ამერიკული ჯარის გასვლისთანავე ქვეყანაში სხვა ტერორისტული დაჯგუფებებიც გააქტიურდა, როგორცაა ალ-კაიდა და ე.წ. ისლამური სახელმწიფო. აშშ-ის კონტერორისტული სამსახურების წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ სწორედ ე.წ. ისლამურ სახელმწიფოზე და მის გავლენებზე ავღანეთში. 2021 წლის 26 აგვისტოს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში ჰამიდ ყარზაის სახელობის აეროპორტში ევაკუაციის დროს რამდენიმე ტერორისტული აქტი მოხდა, რასაც 13 ამერიკელი ჯარისკაცის და 170 ავღანელის სიცოცხლე შეეწირა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა სწორედ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ხორასანის დაჯგუფებამ აიღო.

მიუხედავად ამისა, თალიბები არ მიიჩნევენ ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ხორასანის დაჯგუფებას საშიშ მეტოქედ და თვლიან, რომ მათ შესწევთ ძალა, გააუნებელყოფონ ამ დაჯგუფების წევრები ავღანეთის ტერიტორიაზე.

მოხსენებაში განხილულია ავღანეთში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს როლი და გავლენა, რომელიც ავღანეთში ე.წ. ისლამური სახელმწიფოს ხორასანის დაჯგუფების სახელით ოპერირებს.

**Tinatin Karosanidze**

*Free University of Tbilisi*

## **“ISLAMIC STATE” IN KHORASAN - THE NEW CHALLENGE FOR AFGHANISTAN**

The twenty-year military campaign launched by US in Afghanistan in 2001, ended on the 1st of August, 2021. The American and coalition military forces left the country. Only 600 US soldiers were left to defend US embassy building and other strategic facilities in Afghanistan.

After the withdrawal of US and coalition forces, Taliban managed to capture the capital of the country and other big cities and establish their own rules during the several days.

Afghanistan population is afraid of the prospect of Taliban coming to power in Afghanistan as people in Afghanistan remember very well the Taliban rule during the 1990s. Consequently, the part of the population has already left the country, while other part is still trying to resist the Taliban.

The coming to power of the Taliban is not the only threat to the people of the country. With the withdrawal of American troops, other terrorist groups have become more active in the country, such as al-Qaeda and the so-called Islamic State. Representatives of the US Counter-terrorism Services are focusing on the Islamic State and its influences in Afghanistan. On the 26th of August 2021 several terrorist attacks were organized in Hamid Karzai International airport in the Capital of Afghanistan Kabul, which killed 170 people and 13 US soldiers. Islamic State in Khorasan took the responsibility on organizing these terrorist attacks.

Nevertheless, Taliban do not consider Islamic State in Khorasan as the main opponent and they believe, that they will have the power to disarm the members of this group on the territory of Afghanistan.

The presentation will analyze Islamic State and its role and influence in Afghanistan, which operates in the country as Islamic State in Khorasan.

## ლეილა ქველიძე, ნათია სვინტრაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### მუსლიმური რეფორმაცია და გენდერული თანასწორობის საკითხი

მუსლიმური რეფორმაცია, ანუ მოდერნიზმი წარმოადგენს რელიგიურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში მუსლიმი სასულიერო პირები ჩაუდგნენ და მიზნად დაისახეს რელიგიის განახლება, მისი შეთანხმება თანამედროვეობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ამოცანებთან. მუსლიმური რეფორმისტული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და იგი ემთხვევა კულტურული აღორძინების პერიოდს. დადგა საკითხი ევროპული კულტურისა და ისლამური მემკვიდრეობის ურთიერთშეთავსების შესახებ. სწორედ, მუსლიმმა რეფორმატორებმა მუჰამად აბდომ, რაშიდ რიდამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს პირველებმა წამოაყენეს ყურანისა და შარიათის იმ კანონთა მოდერნიზაციის იდეა, რომლებიც ქალთა საკითხთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით, აღსანიშნავია, დამოკიდებულება ქალთა განათლებისადმი. ქალი და განათლება, ქალი და ოჯახი, ქორწინებაში მისი თანასწორუფლებიანობა ის პრობლემები იყო, რომელთა გადაჭრა თავად მუსლიმური საზოგადოების შემდგომი განვითარების ინტერესებში შედიოდა. მუსლიმი რეფორმატორების მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა ისლამის მოდერნიზაციის შემდგომ პროცესს და განსაზღვრა პოზიცია, გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებით.

**Leila Kvelidze, Natia Svintradze**

*Akaki Tsereteli State University*

### MUSLIM REFORMATION AND GENDER EQUALITY PROBLEMS

The Muslim Reformation, or Modernism, is a religious-political movement led by Muslim clerics with the aim of reviving the religion, its alignment with the social and political tasks of modernity. The Muslim reformist movement began in the second half of the nineteenth century and it coincides with a period of cultural renaissance. The question of the compatibility of European culture and Islamic heritage was raised. It was the Muslim reformers Muhammad Abduh, Rashid Rida, who at the end of the nineteenth century were the first to put forward the idea of modernizing the laws of the Qur'an and Sharia that dealt with the issue of women. Particularly noteworthy is the attitude towards women's education. Woman and education, woman and family, her equality in marriage were problems whose solution was in the interests of the further development of the Muslim community itself. The work of the Muslim reformers laid the foundation for the post-modernization process of Islam and defined a position on the issue of gender equality.

## ეთერ ღვინიაშვილი

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სოლოლაკის არაბულენოვანი წარწერები

მრავალწლიანი ბატონობისა და თანაცხოვრების შედეგად, მუსლიმებმა საქართველოს დედაქალაქში არაერთი წარწერა, თუ სხვა მატერიალური ძეგლი დატოვეს. ამ ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია მოკვლეული და შესწავლილი მეცნიერთა მიერ. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სოლოლაკის არაბულენოვანი წარწერები.

თბილისში, ჭონქაძის ქუჩაზე ერთერთი შენობის საძირკვლის გამაგრებისას აღმოჩენილ ნაშენობაში გადაღებული ფოტოებით და ადგილზე შესრულებული წარწერების გრაფიკული მონახაზებით შევისწავლეთ კედლებზე ამოკაწრული არაბულენოვანი წარწერები. იქ ასევე აღმოჩნდა ცუდად დაცული ჩონჩხების ნაშთები.

საძვალე გაუხსნელი იყო. ამჟამად მისი ადგილზე დათვალიერება და შესწავლა შეუძლებელია. იქაურ მცხოვრებთა გადმოცემით, ანალოგიური შემთხვევები ადრეც ყოფილა გამოვლენილი. აკლდამის კედლები და მათზე ამოკაწრული წარწერებიც დაზიანებულია.

წარწერები შესრულებულია თავისუფალი, გაკრული ხელით, ზოგიერთი წარწერა კი - ოდნავ შეკავებული ხელითა და კუთხოვანი გადაბმის ხაზებით. წარწერების ხელია ნასხი, ზოგჯერ გვხვდება სულსის ელემენტებიც.

წარწერები შედგება მხოლოდ ყურანის აიებისაგან, არ შეიცავს რაიმე საყურადღებო ინფორმაციას, არ არის აღნიშნული საკუთარი სახელები და თარიღები, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორც ფაქტი, თბილისში კიდევ ერთი არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლის არსებობისა.

**Eter Gviniashvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## ARABIC INSCRIPTIONS FROM SOLOLAKI

As a result of domination and co-existence of many years, the Muslims have left in the capital of Georgia numerous inscriptions and other material monuments. Only a small part of these monuments has been researched and studied by scholars. That is why the Arabic inscriptions discovered in Sololaki are important for us.

On the basis of photographs taken in the construction brought to light during the fortification of a building foundation at Chonkadze str., Tbilisi, and the graphic sketches of the inscriptions made on the site, we have studied the Arabic inscriptions scratched on the walls. Remains of poorly preserved skeletons have also been found there. The burial was intact. At present, its on-site examination and study is impossible. According to the local residents, similar cases occurred there earlier as well. Both the burial walls and the scratched inscriptions are damaged.

The inscriptions are executed in the Naskhi handwriting, and sometimes elements of Sulsi are also found.

According to the contents, the inscriptions are simple, they do not contain any noteworthy information, and proper names and dates are not indicated, only a few Ayas of the Koran, nevertheless, these inscriptions are important as a fact of existence of one more Arabic epigraphic monument in Tbilisi.

## გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

### ცენტრალური აზიის არაბული დიალექტები მილევად რეჟიმში

უკანასკნელ ხანებში ცენტრალური აზიის პერიფერიული არაბული გადავიდა მილევად რეჟიმზე, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. გაიზარდა ბუხარისა და კაშკადარიის რეგიონებში ცხოვრების ინტენსივობა. ამას, დასაქმების პერსპექტივიდან გამომდინარე, შედეგად მოჰყვა არაბულენოვანი ყიშლალებიდან ახალგაზრდა თაობის არაბების დიდ ქალაქებში გადასახლება.

2. მშობლიურ სოფლებში დარჩენილმა ახალგაზრდებმა და საშუალო თაობის ნაწილმა, უზბეკებთან და ტაჯიკებთან სულ უფრო მზარდი კონტაქტების გამო, თანდათან დათმეს მშობლიური არაბული. ისინი, ამჟამად, სახლის გარეთ, ერთმანეთთანაც კი, უზბეკურად და ტაჯიკურად ლაპარაკობენ.

3. 2018 წელს, ცენტრალურ აზიაში სამეცნიერო ექსპედიციამ აჩვენა, რომ 1990-იანი წლების ხანდაზმული თაობიდან თითქმის აღარავინ დარჩა არაბულენოვან ყიშლალებში.

ექსპედიციის შედეგად მოპოვებული ახალი მასალები საყურადღებოა ამჟამად არსებული ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით. დაფიქსირებული ცვლილებები იძლევა ბუხარული და კაშკადარიული არაბული დიალექტების მომავლის პროგნოზირების შესაძლებლობას. სავარაუდოა, მომდევნო წლებში, აღნიშნულ არაბულ დიალექტებზე მოსაუბრეთა რიცხვის საგრძნობლად შემცირება, რაც ზრდის ადგილზე სავლელ ლინგვისტური კვლევა-ძიების მნიშვნელობას.

მოხსენებაში განხილულია სიტყვაწარმოებისა და ფორმაწარმოების, ლექსიკისა და გრამატიკის, კოდის შეცვლისა და შერწყმის საკითხები.

## VANISHING CENTRAL ASIAN ARABIC DIALECTS

In recent times the Central Asian Peripheral Arabic dialects had started vanishing. It is due to the following circumstances:

1. The intensity of life in the Bukhara and Qashqa-darya regions has increased. The employment prospects had resulted in the migration of the younger Arab generation from the Arab-speaking kishlaks to big cities.

2. Young people and a share of the middle-aged population residing in their native villages gradually gave up using their native Arabic due to increasing contacts with Uzbeks and Tajiks. Currently, they speak Uzbek and Tajik outside and even with each other.

3. A scientific expedition to Central Asia conducted in 2018 revealed that almost none from the older generation of the 1990s was left in the Arabic-speaking kishlaks.

New materials obtained during the expedition are noteworthy in terms of the current linguistic situation. The observed changes make it possible to predict the future of the Bukhara and Qashqa-darya Arabic dialects. It is likely that in the coming years, the number of speakers of these Arabic dialects will significantly diminish, which increases the importance of the on-site linguistic field researches.

The paper discusses the issues of word-building and form-building, vocabulary and grammar, code-switching, and code-merging.



## ზვიად ცხვედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ძველი არაბული დიალექტები: გემინაცია აუსლაუტში

შუა საუკუნეების არაბულ გრამატიკულ ტრაქტატებში (სიბავაჰის “Al-Kitāb”, იბნ ია’იშის “*ṣarḥ al-mufaṣṣal*”) ძველ არაბულ დიალექტებთან დაკავშირებულ მონაცემთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს პაუზში (არასინტაგმატური პოზიცია) სიტყვა-ფორმის სტრუქტურა და ფონეტიკური მოვლენები. პაუზის სისტემა დიალექტური ფორმების გარდა ყურანის რეჩიტაციისა და ძველ არაბულ პოეზიაში არუდით გამოწვეულ ცვლილებებს ასახავს. ეს ორი უკანასკნელი, თავის მხრივ, რიგ შემთხვევაში პირველხარისხოვანი წყაროა ძველი არაბული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენების აღწერისათვის.

ამჯერად, განვიხილავთ სახელადი და ზმნური ფუძის აუსლაუტში გემინაციის (ბოლოკიდური თანხმოვნის სპორადული გაორმაგება) საკითხის. სიბავაჰის მიხედვით, პაუზალურ პოზიციაში სიტყვა-ფორმის აუსლაუტში გემინაციის მაგალითია, მაგ.: *hādā hālidd* – ‘ეს ხალიდია’, *hūa yağ’all* – ‘ის აკეთებს, ქმნის’ (სიბავაჰი, 4/169). ალ-აზჰარის მიხედვით, ეს მოვლენა დამახასიათებელი ყოფილა სა’დის ტომის მეტყველებისთვის: „*wa hīa luġa sa’diyya*” (ალ-აზჰარი, 2/341). სიბავაჰთან მოყვანილია მაგალითები რუ’ბა იბნ ალ-აჯჯაჰის რაჯაზით დაწერილი პოეტური ნიმუშებიდან, მაგ.: *ḍāḥm-un yuḥibbu l-huluqa l-’adḥammā* (სიბავაჰი, 1/29)

აღსანიშნავია, რომ რიგ პოეტურ ნიმუშებში გემინაციის ეს შემთხვევა არაპაუზალურ ფორმებშიც, სინტაგმატურ პოზიციაზე დასტურდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ანისი, ა. ალ-გინდი...) გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებები ამ კონკრეტული ენობრივი ფაქტის დისტრიბუციის / ლოკალიზაციის თაობაზე.

## OLD ARABIC DIALECTS: GEMINATION IN AUSLAUT

Medieval Arabic grammatical treatises (Sibawayhi's "al-Kitāb", Ibn Ya'ish "šarḥ al-mufaṣṣal") provide invaluable information regarding the word-structure in the pause (non-syntagmatic position) and phonetic peculiarities in old Arabic dialects. In addition to dialectic forms, pause system can be found in the Quran recitations and reflects the changes caused by 'arūḍ in old Arabic poetry. Quran recitations and old Arabic poetry, in their turn, in some cases are primary sources for the description of the linguistic peculiarities of old Arabic dialects.

The present paper deals with gemination (sporadic doubling of the last consonant) in the auslaut of the stems of nouns, adjectives, verbs etc. According to Sibawayhi, the example of gemination of the auslaut of word-form in the pausal position is hādā ḥālid – 'This is Khalid', hūa yağ'all – 'He makes' (Sibawayhi, 4/169). al-Azhari points out that this phenomenon is characteristic to the speech of the Sa'd tribe: „wa hīa luğa sa'diyya” (Al-Azhari, 2/341). Sibawayhi cites the examples from the poetry of Ru'ba ibn al-'ajaji: ḍāḥm-un yuḥibbu l-ḥuluqa l-'aḍḥammā (Sibawayhi, 1/29).

It should be noted that in poetry the cases of germination can be identified in non-pausal forms, i.e. syntagmatic position as well.

Scholars (I. Anis, A. al-Gindi etc.) have different opinions on the distribution/localization of this linguistic phenomenon.

## ელენე ჯაველიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ორჰან ფამუქის „შავი წიგნის“ აგებულების ზოგიერთი ნიშან-თვისება

ორჰან ფამუქი თანამედროვე თურქული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და ცნობილი მწერალია. „შავი წიგნი“ (1990) განსაკუთრებული, ერთგვარი სიმწიფის ეტაპია მწერლის შემოქმედებაში. ამ ტექსტში, რომელიც პოსტმოდერნული ლაბირინთის მოდელზე არის შექმნილი, თხრობის ცენტრში მწერლად ჩამოყალიბების ისტორიაა, ოღონდ, დისკურსებისა და შემოქმედებითი სტრატეგიების სემანტიკური თანასწორობის ფონზე, როდესაც სტაბილური იერარქიები შეგნებულად არ არის აგებული, შემოქმედებითი პროცესის „ძირეული კატეგორია“ რომანის სიღრმეშია დაფარული. „შავი წიგნი“ ტიპოლოგიურად მიუთითებს „კუნსტლერრომანის“ ჟანრზე და გვიჩვენებს ხელოვანის ჩამოყალიბების პროცესს, რაც განსაზღვრავს რომანის ყველა ელემენტს: ჟანრობრივ და და თემატურ მახასიათებლებს; დროისა და სივრცის პარადიგმას; ტექსტის რთულ მრავალშრიან სტრუქტურას; მულტიპერსპექტიულ თხრობას; ფრაგმენტაციას; ტექსტური სემიოტიკური სტრუქტურების დონეების ჰიპერდაკავშირებულებას; „მიზანაბიმის“ ტექნიკას; ფამუქი იდუმალებისა და დეტექტივის ჩარჩოში აყალიბებს მეტაფიქციურ ტენდენციებს და წარმატებით ხლართავს მეტაფიქციურ დისკურსს და მეტაფიზიკური გამოძიების სტრუქტურაში. „შავი წიგნი“ ღრმად არის დაკავშირებული დუბლის დოპელგენგერის მოტივთან. რომანის ჩარჩო თხრობა პროტაგონისტ გალიფის მიერ დაკარგული ცოლისა და მისი ბიძაშვილის, ჯელალის მიებაზეა აგებული. ხაზგასმულია ორი პროტაგონისტის (გალიფისა და ჯელალის) განსხვავება და შეუთავსებლობა, თუმცა ეს იდენტობები ბიპოლარული მოდელის ერთიან იდენტობას აყალიბებს. ფამუქის „შავი წიგნის“ შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ რომანის ლიტერატურული ინტერტექსტუალობა, რომელიც ნასესხებია აღმოსავლური და დასავლური კულტურული სივრცეებიდან, მიუთითებს ტრადიციისა და თანამედროვეობის ესთეტიკურ პარალელიზმზე. ფამუქი იზარებს ჟაკ დერიდას ხედვას (სამყარო ტექსტია), მისთვისაც „სამყარო წიგნია“, უფრო სწორად, იდუმალი შავი წიგნია.

**Elene Javelidze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

### **SOME FEATURES OF THE STRUCTURE OF ORHAN PAMUK'S THE BLACK BOOK**

Orhan Pamuk is one of the most prolific and famous writers of modern Turkish literature. The Black Book (1990) is a special, kind of maturity stage in the writer's oeuvre. This text, which is based on the model of the postmodern labyrinth, tells the story of becoming a writer. However, against the background of the semantic equality of discourses and creative strategies, when stable hierarchies are not deliberately built, the "root category" of the creative process is hidden in the depths of the novel. The Black Book typologically reminds us the novel genre known as "Künstlerroman" and shows the process of formation of the artist, which defines all the elements of the novel: Genre and thematic characteristics; The paradigm of time and space; The complex multi-layered structure of the text; The multiperspective narrative; The fragmentation; Hyperlinking levels of textual semiotic structures; The `mise-en-abyme` technique. Pamuk employs the mystery and detective fiction as a framework. The writer successfully intertwines metafictional discourse in the structure of metaphysical quest. The Black Book is deeply related to the doppelgänger motif of the double. The narrative framework of the novel is built on protagonist Galip's search for his lost wife, Ruya, and his cousin Jelal. The novel emphasizes the differences and incompatibilities of the two protagonists (Galip and Jelal), although these identities form a unified identity of the bipolar model. A study of Pamuk's The Black Book reveals that the literary intertextuality of the novel, borrowed from Eastern and Western cultural spaces, contrasts with the East-West dichotomy, pointing to an aesthetic parallelism between tradition and modernity. Pamuk shares Jacques Derrida's vision (the world is a text), for him "the world is a book", or rather, a mysterious **black book**.

**„დოკუმენტები საქართველოს შესახებ ირანის  
არქივებსა და ბიბლიოთეკებში“**

რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ  
დაფინანსებული პროექტის (#FR 18-7653)

**შემაჯამებელი კონფერენცია**

თეზისები

**“DOCUMENTS ABOUT GEORGIA IN THE  
ARCHIVES AND LIBRARIES OF IRAN”**

**End of the Project Conference**

Project is supported by the Shota Rustaveli National Scientific  
Foundation (#FR 18-7653)

Abstracts

## თამაზ აბაშიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### დოკუმენტები საქართველოს შესახებ გოლესთანის სასახლის არქივიდან

მოხსენებაში წარმოდგენილი და გახილულია თეირანის გოლესთანის სასახლე-მუზეუმის არქივში დაცული ე. წ. „ინშა“-ს ტიპის დოკუმენტების კრებული („გორჯესთან დარ მაჯმუეიე ნასერი“), რომელშიც თავმოყრილია სამხრეთ კავკასიასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ასზე მეტი ისტორიული დოკუმენტი უპირატესად სპარსულად, (აგრეთვე არაბულ და ოსმალურ ენებზე)

კოლექცია შეიცავს რამდენიმე ტიპის წერილობით ძეგლებს. ესენია უმაღლეს ხელისუფალთა ბრძანებები, მიმოწერა ადგილობრივ ხელისუფალთა და საერო და სამხედრო სარდლობას შორის, სხვადასხვა შინაარსის არხები (თხოვნები).

ამ საბუთების ავტორებს შორის გვხვდება ირანის შაჰები, აღმ.ამიერკავკასიის მუსლიმური სახანოების მმართველები და დიდებულები.

ადრესატები არიან საქართველოს მეფეები და უფლისწულები, კავკასიის მთავარმართებლები და სარდლები, საქართველოს უმაღლესი საეკლესიო იერარქები, თავადები, სარდლები, მუსლიმური სახანოების მმართველები და სხვ.

კონკრეტული ისტორიული გარემო, რომელსაც საკვლევი კოლექციის საბუთები შეეხება არის, ძირითადად, მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დამდეგის საქართველო და აღმოსავლეთი კავკასია რუსეთის იმპერიის ექსპანსიის ვითარებაში და ამის ფონზე მიმდინარე ინტენსიური ურთიერთობები ამ პოლიტიკურ კონტექსტში ჩართულ სუბიექტებს შორის.

საინტერესოა საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქების სახელზე გაცემული საბუთები, რომლებიც შეიცავს მასალას მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ირანის მბრძანებელთა რელიგიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის დასაზუსტებლად.

კოლექციაში დაცული დოკუმენტები მეტად საყურადღებო მასალაა საქართველოსა და კავკასიის ისტორიის რიგი საკითხების ახლებურად გასააზრებლად.

ამ საბუთების ნაწილი (ტექსტი და რუსული თარგმანი) გამოქვეყნებულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების ცნობილ პუბლიკაციაში (Акты собранные Кавказской археографической комиссией, Архив главного управления Наместника Кавказа, тт. I-XII, Под общей редакцией А. Д. Берже. (Тифлис, в Типографии главного управления Наместника Кавказа, 1866-1904), მაგრამ მათი რუსული თარგმანი, როგორც წესი, თავისუფალ თარგმანს ან ანოტაციას წარმოადგენს, რის გამოც, ხშირად, ტექსტებში ხშირია შინაარსობრივი უზუსტობები და ისინი მოკლებულია დოკუმენტურ სიზუსტეს. შესაბამისად, მათი ქართულად თარგმნა, სამეცნიერო შესწავლა და გამოქვეყნება უაღრესად მნიშვნელოვანი და სამეცნიერო სიახლის მატარებელია.

**Tamaz Abashidze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## DOCUMENTS ABOUT GEORGIA FROM THE ARCHIVE OF GOLESTAN PALACE

In the presentation are discussed contents and peculiarities of the collection of so called “Insh’a” type documents (Gorjestan dar majmu-e Naser) obtained from the archive of the Golestan Museum palace of Tehran. The collection consists of more than 100 documents, mostly on Persian, but also in Arabic and Ottoman Turkish. These documents concern directly or indirectly Georgia and participation of Georgian political figures in Russian-Iranian complex political interactions. Most of documents are of 18-th century and of the beginning of the 19<sup>th</sup> century.

There are some types of written sources in the collection: Orders of supreme authorities, correspondence between local authorities and military commanders, petitions, etc.

Among the authors of these documents are Shahs of Iran, Governors of the Muslim khanates of the Eastern part of South Caucasus, nobility. Addressees are Georgian kings and princes, governors of Caucasus and military commanders, Georgian highest ecclesiastical authorities.

Part of this documents are published in “Acts” (Акты собранные Кавказской археографической комиссией, Архив главного управления Наместника Кавказа, тт. I-XII, Под общей редакцией А. Д. Берже. (Тифлис, в Типографии главного управления Наместника Кавказа, 1866-1904) but their Russian versions represent free translation with lots of mistakes or small annotation. So, the study and new translation of these documents into Georgian and their academic publication, based on the value of them, is certainly desirable.

## **გრიგოლ ბერაძე**

*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **მარინა ალექსიძე**

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **თამარ მოსიაშვილი**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი*

# **ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ**

მოხსენება შეეხება რამდენიმე სპარსულ და არაბულ წარწერას, რომლებიც დაკავსირებულია სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ასპარეზზე აღზევებული უნდილაძეების საგვარეულოს ორი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენლის -- ალავერდი ხანის (გარდ. 1613 წ.) და იმამყული ხანის (გარდ. 1632 წ.) სახელებთან. სახელდობრ, ნაშრომში განხილული იქნება XVII საუკუნის პირველი მეოთხედის შემდეგი ეპიგრაფიკული მასალა:

- 1) ალავერდი ხანის გუმბათიანი აკლდამის არაბული და სპარსული წარწერები ქ. მეშქედიდან (წარწერები თარიღდება მთვარის ჰიჯრის 1021 და 1022 წლებით);
- 2) ქ. შირაზის ძველი საკრებულო მეჩეთის (მასჯედ-ე ჯამე'-ე 'ათიყ-ე შირაზ) ჩრდილოეთი შესასლელის პორტალზე განთავსებული არაბული წარწერა (თარიღდება მთვარის ჰიჯრის 1031 წლით);
- 3) ქ. გოლფაიეგანის ერთ-ერთ რელიგიურ ნაგებობაზე (იმამზადეგან-ე ჰეფდაჰ-თან) არსებული არაბული და სპარსული წარწერები (თარიღდება მთვარის ჰიჯრის 1032 და 1033 წლებით);
- 4) სპარსული წარწერები 1622 წელს ირანელთა მიერ იმამყული ხანის სარდლობით ჰორმუზის აღებისას სამხედრო ნადავლის სახით ხელში ჩაგდებულ პორტუგალიურ ზარბაზნებზე.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში აქამდე უცნობი ეს წარწერები წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო დამატებით მასალას უნდილაძეების საგვარეულოს ისტორიის სხვადასხვა ასპექტების კვლევისათვის.



**Grigol Beradze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

**Marina Alexidze**

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

**Tamar Mosiashvili**

*Ilia State University,  
G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## **GEORGIANS IN SAFAVID IRAN: ABOUT SOME PERSIAN AND ARABIC INSCRIPTIONS OF THE SEVENTEENTH CENTURY RELATED TO THE REPRESENTATIVES OF THE UNDILADZE FAMILY**

The paper presents and discusses a number of Persian and Arabic inscriptions related to Allahverdi Khan (d. 1613) and his eldest son and successor Imamquli Khan (d. 1632), the most famous and influential representatives of the Undiladze family who occupied key positions and played an important role in the military-political and administrative arena of Safavid Iran during the reign of Shah ‘Abbas I (r. 1587-1629). Reference is, in particular, to the following epigraphic materials from the first quarter of the seventeenth century:

- 1) Arabic and Persian inscriptions (dated 1021 and 1022 AH) from the domed mausoleum of Allahverdi Khan in Mashhad;
- 2) Arabic inscription (dated 1031 AH) on the north exterior entrance portal of the Jame‘-e ‘Atiq Mosque of Shiraz;
- 3) Persian and Arabic inscriptions (dated 1032 and 1033 AH) from the Imamzadegan-e Hefdah-Tan in Golpayegan;
- 4) Persian inscriptions on Portuguese cannons taken as spoils of war by the Iranians under the command of Imamquli Khan during the capture of Hormuz in 1622.

These lesser-known inscriptions provide quite valuable additional material for the study of various aspects of the history of the Undiladze family.

**თამარ ლეკვეიშვილი**

*გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ორი ცნობა საქართველოს შესახებ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის თხზულებაში**

ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანის XVII საუკუნის ირანული/სპარსული წყარო შაჰ აბას I -ის (1587-1629) მმართველობის პერიოდის შესახებ, წარმოადგენს ფაზლის დაკარგულად მიჩნეული ქრონიკის - „აფზათ ათ-თავარიხის“ (მშვენიერი ისტორია) მესამე ნაწილს.

თხზულებაში ვრცლადაა მოთხრობილი შაჰ აბასის მმართველობის დროს განვითარებული მოვლენების შესახებ და, ასევე, განსაკუთრებული და დიდი ადგილი ეთმობა საქართველოს.

ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას ამ წყაროს ქართულ თარგმანსა და სამეცნიერო შესწავლაზე და ამჟამად წარმოგიდგენთ ფაზლი ბეგ ხუზანი ესფაჰანისეულ ვერსიას კონსტანტინე მირზას მიერ მამის( ალექსანდრე II –1574-1605) მოკვლისა და, ასევე, თავად კონსტანტინეს მოკვლის შესახებ.

**Tamar Lekveishvili**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,  
Ilia State University*

## **TWO REFERENCES ABOUT GEORGIA IN FAZLI BEG KHUZANI ISFAHANI'S WORK**

Fazli Beg Khuzani Isfahani's 17<sup>th</sup> century Iranian chronicle about the reign of Shah 'Abbas I (1587-1629) is the third part of Fazli's lost chronicle, "Afzal al- Tavarikh" (The wonderful History), where the political stories of Shah 'Abbas's reign are extensively narrated and an important part of it, is dedicated to Georgia.

We are still continuing to work on its Georgian translation and study. In the paper Fazli's version concerning the murder of Aleksander II (1574-1605) by his son Konstandil Mirza and also the murder of Konstandil mirza himself is presented.

## ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, გიორგი სანიკიძე

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ქართული თემატიკა გოლესთანის სასახლის ფოტოარქივში

თეირანში მდებარე გოლესთანის სასახლე ყაჯართა ეპოქის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურულ-ისტორიული ძეგლია. დღეს ის მუზეუმისა და კვლევითი ცენტრის სახით ფუნქციონირებს. გ.წერეთლის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტს ამ კომპლექსთან საქმიანი თანამშრომლობის კარგი გამოცდილება გააჩნია.

გოლესთანის სასახლის ფოტოარქივი შეიცავს ყაჯართა ეპოქის უმდიდრეს ფოტომასალას (50 ათასზე მეტ ფოტოს), რომელშიც მოიძიება საქართველოსთან დაკავშირებული ფოტოებიც.

აქამდე ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლენილია შემდეგი ფოტომასალა ქართული თემატიკით:

1. ალბომი N 374 - იტალიელი ფოტოგრაფის ლუიჯი მონტაბონეს ფოტოალბომი, რომელიც მან თავად მიუძღვნა ნასერ ედ-დინ შაჰს. 51 ფოტოდან 5 ფოტოზე თბილისის ხედებია წარმოდგენილი. გადაღების თარიღი - 1862 წელი.
2. ალბომი N 482 - მეცხრამეტე საუკუნის 60-80-იან წლებში რუსეთის იმპერიაში მოღვაწე ფრანგი ფოტოგრაფის ჟან ქსავიე რაულის (ივან პეტროვიჩ რაულის) ფოტოალბომი, მიძღვნილი ნასერ ედ-დინ შაჰისადმი. ალბომი შეიცავს ეთნოგრაფიული ხასიათის 150 ფოტოს, საიდანაც 28 ფოტოზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები არიან აღბეჭდილი. თარიღი უცნობია.
3. ალბომი N 506 - თბილისში დაბადებული გამოჩენილი რუსი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვის ფოტოალბომი თბილისის ხედებით (სულ 28 ფოტო). თარიღი უცნობია.
4. ალბომი N 533 - ფოტოგრაფი უცნობია. თემატიკა: სანკტ-პეტერბურგისა და თბილისის სამხედრო ქარხნები, საამქროების საერთო ხედი და დანადგარები. რუსეთის იმპერიის თავდაცვის სამინისტრომ კატალოგის სახით გაუგზავნა ნასერ ედ-დინ შაჰს.
5. ალბომი 834 - ფოტოგრაფი: დიმიტრი ერმაკოვი. თემატიკა: თბილისისა და მისი მიდამოების ხედები (სულ 11 ფოტო).

იმის გათვალისწინებით, რომ გოლესთანის სასახლის ფოტოარქივი ჯერ კიდევ არაა სრულად აღწერილი და დამუშავებული, სავარაუდოა, რომ იქ კიდევ აღმოჩნდეს საქართველოსთან დაკავშირებული აქამდე უცნობი ფოტომასალა.

**Nikoloz Nakhutsrishvili, George Sanikidze**

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies,*

*Ilia State University*

## **THE GEORGIAN THEME IN THE PHOTOGRAPHIC ARCHIVE OF THE GOLESTAN PALACE**

The Golestan Palace in Tehran is one of the outstanding cultural-historical monuments of the Qajar epoch. Currently it functions as a museum and a research centre. G. Tsereteli Institute of Oriental Studies has a longstanding experience of cooperation with this complex.

The photographic archive of the Golestan Palace contains rich material of the Qajar epoch (over 50 thousand photographs), including the photographs concerning Georgia.

Research has yielded the following photographic material related to the theme of Georgia:

1. Album N 374 – a photographic album of an Italian photographer Luigi Montabone, donated by himself to Nasser al-din Shah. The album contains 51 photographs, out of which 5 photographs represent views of Tbilisi. Dated – 1862.
2. Album N 482 – a photographic album of Jean Xavier Raoult (Ivan Petrovich Raoult), a French photographer working in the Russian Empire in the 60s-80s of the 19th century. This album was dedicated to Naser al-Din Shah. The album embraces 150 ethnographic photographs, out of which 28 photographs represent people from diverse regions of Georgia. The dates are unknown.
3. Album N 506 – a photographic album of Dimitri Ermakov - a famous Russian photographer born in Tbilisi. The album (28 photos in all) represents the sights of Tbilisi. The dates are unknown.
4. Album N 533 - The photographer is unknown. The themes are: military factories of Saint Petersburg and Tbilisi, general view of the plants and equipment. The Ministry of Defence of the Russian Empire sent these photographs as a catalogue to Naser al-Din Shah.
5. Album 834 - Photographs by Dimitri Ermakov. Theme: the sights of Tbilisi and its adjacent territories (11 photographs in all).

Taking into account the fact that the archive of Golestan Palace is not fully studied and registered yet, it is quite probable to find other yet unknown photographic material related to Georgia.

**KARIM-KHAN ZAND AND EREKLE II:  
STUDY AN UNKNOWN HISTORICAL LETTER**

Despite the great richness of the Tbilisi archives about the history of Iran and Georgia in the 16th to 19th centuries, but little is known about Karim-Khan Zand's (1705-1779) relationship with Erekle II (1720-198) in the second half of the 18th century. Especially in the Iranian centers, there is no original document related to this period.

On the other hand, we know that important developments took place in the Caucasus region during this period and other regional powers, such as Russia and the Ottomans, were actively involved in these relations. Among the historical documents as well as a number of historical books of this period can be found important information about the situation of Georgia in the midst of the Russian and Ottoman wars of 1768-1774 that how Karim-Khan in several correspondences with Erekle, asked him to refrain from cooperating with Russian forces in the war with Ottomans, which, of course, can be the subject of another article.

In this article, relations between Karim-Khan Zand and Erekle II before the Russo-Ottoman War is studied and a copy of a historical document that is kept in the manuscript collection in the library of Iranian Parliament will be reviewed.

This document is a letter by Karim-Khan Zand's to the Erekle during the presence of Karim-khan in Azarbaijan and probably written after the defeat of the Azad-Khan Afghan and his asylum to Georgia.

In this article, while examining the historical developments of this period, Karim Khan's relationship with Erekle and style of this letter with similar examples in previous courses is studied.

## გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

### ერლ ჯორჯ კერზონის ორი წერილის შესახებ აკაკი ხომტარიას არქივიდან

მოხსენებაში გაგრძელებულია ჩრდილოეთ ირანში ნავთობის მოძიება-მოპოვებასთან ინგლისურ, საბჭოთა და ირანულ მხარეებს შორის არსებული უთანხმოებებს შესწავლა, რომლებიც, პირველ რიგში, უკავშიდებოდა აკაკი ხომტარიასთვის ადრე მინიჭებულ სანავთობო კონცესიას. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ხომტარიამ ინგლისელებთან შეთანხმებას მიაღწია მისი კომპანიის, 'რუპენტოს' ჩრდილოეთ ირანის სანავთობო კომპანიაში ჩართვის შესახებ (ეს კომპანია 'ინგლისურ-სპარსული სანავთობო კომპანიის' ნაწილს შეადგენდა). ირანულმა მხარემ კი, რუსეთთან შეთანხმების შედეგად, გააუქმა ა. ხომტარიას სანავთობო კონცესია. ირანის მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ინგლისური მხარის მძაფრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რაზეც მეტყველებს ა. ხომტარიას არქივში ერლ კერზონის, იმ დროს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილები ბრიტანეთის პრემიერ მინისტრისადმი, დათარიღებული 1920 წლის 3 და 5 აგვისტოთი.

ერლ კერზონი მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის გამორჩეული ბრიტანელი პოლიტიკოსი და ბრიტანეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. ის ასევე დიდი ინტერესს იჩენდა სამხრეთ კავკასიის მიმართ და აქ ბრიტანეთის ჩართულობის მომხრე იყო. ის ასევე მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობის და სწორედ მანი დანიშნა აქ ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად ოლივერ უოდროპი. კერზონი ეწინააღმდეგებოდა ბათუმიდან ბრიტანეთის ჯარების გაყვანასაც.

თავის წერილებში ჯორჯ კერზონი აღნიშნავს, რომ „...სპარსეთში მთავრობამ ხომტარიას კონცესიის რუსულ კონცესებში შეტანას მიაღწია ძალდატანებითა და მოსყიდვით მეჯლისის არარსებობის პირობებში... და ამ ქმედებამ უკვე დაიმსახურა რუსეთში ცარისტული რეჟიმის მემკვიდრეების [ბოლშევიკების] მოწონება.“

ბრიტანული მხარე ასევე ხაზს უსვამდა, რომ ა. ხომტარია რუსეთისგან გამოყოფილი დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქე იყო და შესაბამისად, იურიდიული თვალსაზრისით, საბჭოთა რუსეთს არავითარი უფლება არ ჰქონდა კომპანიასთან დაკავშირებით. თუმცა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამ 1921 წელს ბრიტანელებისთვის შეუძლებელი გახადა ამ არგუმენტის გამოყენება.

**George Sanikidze**

*Ilia State University,*

*G. Tsereteli Institute of Oriental Studies*

## **ABOUT TWO LETTERS OF EARL GEORGE CURZON FROM THE ARCHIVE OF AKAKI KHOSHTARIA**

In the paper is continued the exploration of contradictions between Iranian, Russian (on the one hand) and British (on the other hand) sides concerning the search and drilling of oil in the Northern Iran, which includes, first of all, the concession of Akaki Khoshtaria given to him earlier. After the Bolshevik revolution, A. Khoshtaria signed an agreement with English Oil Company about including his oil company 'Rupento' in the joint North Persian oil company (Branch of the Anglo-Persian Oil company). In response, Iranian government, after the agreement with Russia, annulled the oil concession of A. Khoshtaria. This decision was perceived extremely negatively by the British side, which is expressed in two letters of Earl Curzon, Foreign secretary at that time, to the Prime minister and dated August 3 and 5, 2020.

Earl George Curzon was one of the main figures in British Middle Eastern policy making during the first quarter of the 20th c. He supported British presence in South Caucasus during the short period of independence of local republics. He also supported independence of Georgia and nominated Oliver Wardrop as a High commissioner of Britain in Tbilisi. Besides, he was against withdraw of British troops from Batumi.

In his letters George Curzon stressed: "...the fact that Khoshtaria concessions were included in the list of Russian concessions repudiated by the Persian government... obtained by duress and corrupt methods, in the absence of Madjless, these actions have already received the consent and approval of the Tsarist regime successors [Bolsheviks] in Russia...".

British side also protested, saying that A. Khoshtaria was the citizen of independent Georgia, which seceded from Russian empire, and the Soviet-Iranian treaty does not apply to it. In fact, 'Rupento' wasn't state owned company and respectively, from the judicial point of view, Soviet Russia has no rights concerning the company. The annexation by the Soviet Russia of the Georgian republic in 1921 made it difficult for the English representatives to use this argument in the dispute between the parties.

**ამინ ყეზელბაშანი**

*დამოუკიდებელი მკვლევარი,  
თეირანი, ირანი*

## **მოჰამადალი-ხან გორჯი გადატრიალების გზაზე**

სეფიანთა იმპერიის დაცემის შემდგომ პირველ წლებში განვითარდა მოვლენათა ისეთი სერია, რომელმაც შესაძლებელი გახადა მოჰამადალი-ხან გორჯის მიერ გადატრიალების მოწყობა. წინამდებარე მოხსენებაში გაანალიზებულია ხსენებული მოვლენები და, აგრეთვე, თვისობრივად და რაოდენობრივად შესწავლილია ამ პიროვნებისა და მისი საგვარეულოს ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ადგილი სეფიანთა ეპოქის ირანის ისტორიაში. ასევე განხილულია მოჰამადალი-ხან გორჯისათვის შექმნილი შესაძლებლობები ირანის სახელისუფლებო სტრუქტურაში მისი და მისი შტოს გავლენების გათვალისწინებით. დასაშვებია ის ვარაუდიც, რომ ამ გადატრიალების განხორციელებისას მოჰამადალი-ხან გორჯი ისარგებლებდა იმ პერიოდის მსოფლიოს დიდი ძალების მხარდაჭერით. ეს იქნებოდა გადატრიალება, რომელიც სეფიანებიდან აფშარებისაკენ გარდამავალ პერიოდში ამ ქართული წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწეს აიყვანდა ირანის სამეფო ტახტზე.

**Amin Ghezelbashan**

*Independent Researcher,  
Tehran, Iran*

## **MOHAMMADALI-KHAN GORJI ON THE WAY TO THE COUP**

In the first years after the fall of the Safavid Empire, there were series of events forming favourable grounds for Mohammadali-Khan Gorji to organize a coup. The given paper analyzes the above-mentioned events and presents a qualitative and quantitative study of the historical, social and political role of this famous person and his clan in the history of the Safavid Epoch's Iran.

The paper also analyzes the opportunities of Mohammadali-Khan Gorji within the State structures of Iran, taking into account the influence of his personality and his clan. It can be assumed that in the case of the implementation of the above-mentioned coup, Mohammad-Ali Khan Gorji could get the support of the world's superpowers of that time. This would be the coup that would lead this public figure of Georgian origin to the Iranian throne in the transitional period from the Safavids to the Afshars.